გაზეთი ზევრისა, „ვერსიას“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№11 (906) 12 – 13 თებერვალი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## საბერძნეთში ამანათს ავტობუსით ველარ გაგზავნით!

რატომ გამკაცრდა ამანათების გაგზავნა და რა ინფორმაციას აწვდიან „ვერსიას“ ქართველი ემიგრანტები

გვ. 2

# სკანდალური ექსკლუზივი რას გვიყვებიან პატიმრები

## რა ხდება

„კრიტში“, გეგუთის, რუსთავისა და ქსნის კოლონიებში

გვ. 3

## სკანდალური სტატისტიკა — აფხაზურ ღვინოს რუსულ ბაზარზე 3.71% უკავია!

გვ. 4



რუსული დელიკატესი — ჩურჩხელა, ხინკალი და ხაჭაპური აფხაზური ღვინის თანხლებით

## ხუდონჰესთან დაკავშირებული აზომვითი სამუშაოები ხაიშელების თხოვნით შეჩერდა

## რატომ დაანგრიეს დედა პარასკევას კელია

## დავით ბერძენიშვილი: „კოალიციიდან არავინ მიდის და ვერც ვერავის გააგდებენ!“

გვ. 5

## ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი გაწეული საქმიანობისთვის გასამრჯელოს ითხოვს

ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი საგანგებო 2007 წელს განეული საქმიანობისთვის გასამრჯელოს ითხოვს. განცხადებას ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელმა ვალერი გელბახიანმა გაავრცელა. განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

**„2007 წლის ნოემბერში დაინიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და ბადრი პატარკაციშვილი დასახელდა პრეზიდენტობის კანდიდატად. შეიქმნა მისი მხარდამჭერი საარჩევნო შტაბი. საპრეზიდენტო მარათონი ყოველდღიური პროვოკაციების, დაჭერებისა და ფიზიკური განადგურების მუქარის ფონზე მიმდინარეობდა. 2007 წლის 2 ნოემბერს ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მოხდა 7 ნოემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევა და შეჭრა ტელეკომპანია „იმედში“. ტელევიზიის დარბევას მოყვა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების დაკავება, რომელთაც ბრალი დაედოთ უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და იარაღის უკანონო შეძენაში. საარჩევნო შტაბში შავი ფულის შეტანის ბრალდებით 7 პირი დააკავეს, არჩევნების დასრულების შემდეგ რაიონული და საქალაქო შტაბების 40 ზე მეტი ხელმძღვანელი დაუპატიმრეს, უამრავ ადამიანს წაართვეს ქონება, მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად 2 პირი გარდაიცვალა.**

**საარჩევნო კამპანიაში 48 ათასი აქტივისტი ოფიციალურად მონაწილეობდა (შტაბის უფროსები, ოფისების თანამშრომლები, საარჩევნო უბნების კოორდინატორები და მიკროუბნის კოორდინატორები და ა.შ.) საბანკო ანგარიშების დაყადაღების გამო, საარჩევნო შტაბს დარჩა გასასტუმრებელი, სახელფასო დავალიანება, სარეკლამო მასალების, საოფისე და საწვავის ხარჯები, ოფისების იჯარის დავალიანება. 2007 წელს კორსტანდარტ ბანკში ბადრი პატარკაციშვილის მიერ მიზნობრივი დანიშნულებით ჩარიცხული იქნა 8 მილიონი დოლარი, რომელიც განკუთვნილი იყო აღნიშნული დავალიანებების გასასტუმრებლად. მაგრამ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გამო ხელისუფლებამ აღნიშნულ თანხას ყადაღა დაადო და მისი ჩარიცხვა საარჩევნო ფონდის ანგარიშზე ვეღარ მოხერხდა. თანხის მოთხოვნით აქციებიც გაიმართა, განსვენებული ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა გააკეთა საჯარო განცხადება, რომ აღიარებდა ამ ვალს და ყადაღის მოხსნისთანავე, ყველა დავალიანება გასტუმრებული იქნებოდა. 2012 წელს, აღნიშნულ საკითხზე შედგა კომუნიკაცია ჯერ გარდაცვლილის დედასთან, შემდგომ ინა გუდავაძის ბიზნესპარტნიორ ირაკლი რუხაძესთან, ამის შემდეგ საქმეში ჩაერთო ბატონი ხუხაშვილი, პრემიერის ყოფილი მრჩევლის გია ხუხაშვილის გამოჩენას მოყვა ოჯახთან კომუნიკაციის გაწყვეტა და მოთხოვნის სრული იგნორირება.**

**ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი გარდაცვლილის ღირსების დასაცავად, ყურადღებისა და რეაგირების მიღმა ტოვებს მიხეილ სააკაშვილთან ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის არასახარბიელო გარიგებას, ვთავაზობთ განსვენებულის ოჯახს, კეთილსინდისიერად შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც მათ საარჩევნო კამპანიაში დასაქმებული ადამიანების წინაშე გააჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო შტაბი იხსნის ყოველგვარ მორალურ პასუხისმგებლობას და გამოთქვამს მზადყოფნას, საკითხს მისცეს იურიდიული დანიშნულება და ვალდებულების აღსრულება დაიწყოს სასამართლოში დავის კანონიერი საშუალებით“.**

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# საბერძნეთში ამანათს ავტობუსით ვეღარ გაგზავნით!

## რატომ გამკაცრდა ამანათების გაგზავნა და რა ინფორმაციას ანვდიან „ვერსიას“ ქართველი ემიგრანტები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საბერძნეთის საზღვარზე, გერმანელმა მესაზღვრეებმა თბილისიდან ათენში მიმავალი ავტობუსი გააჩერეს, მძღოლი დააჯარიმეს, რადგან 4 ტონა ამანათით იყო დატვირთული. რა ბედი ეწია საქართველოდან გაგზავნილ ამანათებს, ჯერჯერობით, უცნობია. ფაქტია, რომ საბერძნეთმა კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა და ამ მიზნით, ბერძენი მესაზღვრეები, გერმანელმა კოლეგებმა ჩაანაცვლეს, რომლებმაც კონტროლის მექანიზმები გაამკაცრეს. ზოგადად, ავტობუსით მხოლოდ მგზავრების გადაყვანაა დაშვებული, მაგრამ მძღოლებს ამანათებიც გაჰქონდათ, რომელიც მგზავრის ტვირთად ფორმდებოდა. გადამზადავები, რომლებიც სპეციალურ ლიცენზიას იღებენ, ვალდებულები არიან, მხოლოდ მგზავრების ტვირთი გაიტანონ, თუმცა ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ბერძენი მესაზღვრეები ქრთამის აღებას არ ერიდებოდნენ, ასე ხვდებოდა სამგზავრო ავტობუსებში მესამე პირის ტვირთი, მათ შორის აკრძალული პროდუქცია — სიგარეტი, ნარკოტიკი, ალკოჰოლური სასმელი და ოქრო.**

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, საბერძნეთში უკვე რამდენიმე დღეა, რაც გერმანელმა მესაზღვრეებმა, საქართველოდან გაგზავნილი 4 ტონა ამანათი გააჩერეს. ამან ემიგრანტების უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან თითოეული მათგანი ოჯახიდან გაგზავნილ ტვირთს ელის და ისიც კი არ იცის, მიიღებს თუ არა კუთვნილ ამანათს. საბერძნეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, საზღვრებზე კონტროლის მექანიზმები გამკაცრდა. წყაროს ინფორმაციით, ბერძენი მესაზღვრეების მოქრთამვის შემდეგ, ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც ევროკავშირის წევრია, ავტობუსებით არალეგალური მგზავრებიც მოხვდნენ და ნარკოტიკული საშუალებებიც აღმოჩნდა. ბუნებრივია, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ იმის გამო, რომ ავტობუსებით ამანათების გაგზავნა შეიზღუდა, რაც ფოსტაზე ბევრად იაფია, მომავალში ეს მომსახურება საგრძნობლად გაძვირდება. საბერძნეთში მცხოვრები ემიგრანტების აღშფოთება სწორედ ამან გამოიწვია. ინფორმაციის გადასამოწმებლად „ვერსია“ რამდენიმე მათგანს დაუკავშირდა. ემიგრანტების ნაწილი ასეთ ინფორმაციას არ ფლობდა, ნაწილმა მხოლოდ ჭორის დონეზე იცოდა, თუმცა თითოეული მათგანი დიდი ხანია ელოდა, რომ საბერძნეთის ხელისუფლება ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა:

**„ამაზე ადრეც იყო საუბარი. ამბობდნენ, რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ამანათებში, ქართველებმა ნარკოტიკული ნივთიერებებიც ჩადესო. არსებობს მეორე მიზეზიც — ამანათების ფოსტით გაგზავნა ძალიან ძვირი ჯდება. ზოგადად, მთელ ევროპაში, „ბერძნული ფოსტა“ სიძვირითაა განთქმული. აქამდე ამანათებს კერძო გადამზიდავების საშუალებით ვგზავნიდით, მაგრამ ერთი წლის წინ, ბანკმაც ამ ტიპის მომსახურება დანერგა. ამანათის ბანკის საშუალებით გაგზავნა უფრო კომფორტულია, რადგან გაძლევენ ქვითარს და დაზღვეულიც ხარ, რომ ნივთი არ დაიკარგება. ამიტომ, თითქმის ყველა, უკვე ერთი წელია, ძირითადად, ბანკის მომსახურებით ვსარგებლობთ და 1 კილოგრამი ამანათის გაგზავნა 2.00-2.20 ევრო გვიჯდება. ფოსტის საშუალებით გაგზავნა, სამჯერ-ოთხჯერ და შესაძლოა, მეტითაც კი ძვირი იყოს. ბანკიც ფოსტის სპეციალური მანქანით აგზავნის ამანათებს, მაგრამ საბერძნეთიდან ავტობუსებით ტვირთის გაგზავნა ისედაც შეზღუდულია“.**

წყაროს ინფორმაცია „ვერსიამ“ ოფიციალურ უწყებაში, საქართველოს ფოსტაში გადაამოწმა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, **ნია ქირიას** განცხადებით: **„ამანათის გადაადგილების პროცედურებსა და შესაბამის დოკუმენტაციას, საერთაშორისო საფოსტო კონვენცია განსაზღვრავს. საქართველოს ფოსტა ამანათის ტრანსპორტირებისთვის ავტობუსს არ იყენებს. არანაირი შეფერხება ამანათის გადაადგილებაში არ დაფიქსირებულა, რადგან მათი მიღება და გაცემა შეუფერხებლად მიმდინარეობს. რაც შეეხება სხვაგვარი ტვირთების ტრანსპორტირებას, ამაზე ინფორმაციას არ ვფლობთ“.** ამის შემდეგ, „ვერსია“ ერთ-ერთ, კერძო გადამზიდავ კომპანიას დაუკავშირდა, რომელსაც არ ვასახელებთ. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ამანათების საბერძნეთში გაგზავნასთან დაკავშირებით, არავითარი პრობლემა არ არსებობს. მისი თქმით, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ამანათი გაგზავნოს, მთავარია, ტვირთში თამბაქო. ალკოჰოლური სასმელი და მედიკამენტები არ აღმოჩნდეს.

რა მოხდა სინამდვილეში, რას ნიშნავს საბერძნეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, გაძვირდება თუ არა ამანათების გაგზავნა და რა ეღირება 1 კილოგრამი ტვირთი? „ვერსია“ საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ერთ-ერთი სათვისტომოს წარმომადგენელს დაუკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ, ლიცენზიის მიხედვით, რომელსაც კერძო გადამზიდავები იღებენ, სამგზავრო საშუალებებში მესამე პირის ტვირთი არ უნდა მოხვდეს: **„მიუხედავად ამისა, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, რომელიც არც ისე ძვირია, ავტობუსის მძღოლები მესამე პირების ამანათებს მგზავრებზე აფორმებენ. ცნობილია, რომ ბერძენი მესაზღვრეები, რომლებიც ქრთამის აღებას არ ერიდებიან, ასეთი ტიპის ამანათებზე თვალს ხუჭავდნენ და სწორედ ამ გზით ხვდებოდა კონტრაბანდა საბერძნეთის ტერიტორიაზე. ახლა საბერძნეთმა საზღვარზე ტვირთის კონტროლი გაამკაცრა და სწორედ ამის გამო ჩაანაცვლეს ბერძენი მესაზღვრეები გერმანელებმა. მათ ქრთამს ვერავინ შესთავაზებს და ბუნებრივია, კონტრაბანდაც აიკრძალება. ზოგადად, ევროპის მასშტაბით, საბერძნეთი კორუფციულ ქვეყნად ითვლება, სადაც არა მარტო აკრძალული პროდუქტი, არამედ კერძო გადამზიდავების საშუალებით, არალეგალური ემიგრანტებიც ხვდებოდნენ“.**

„ვერსიის“ ინფორმაციით, ბოლო დროს შექმნილი მდგომარეობის გამო, კერძო გადამზიდავებმა 1 კილოგრამი ამანათის ღირებულება უკვე გააძვირეს. თუ აქამდე, 1 კგ ამანათში დაახლოებით, 2.00 ევროს იღებდნენ, ახლა ეს ღირებულება 7 ლარამდე გაიზრდება. იმის გამო, რომ საბერძნეთის ტერიტორიაზე კერძო გადამზიდავების საშუალებით, კონტრაბანდული ტვირთი, მათ შორის, სიგარეტი, ალკოჰოლური სასმელი, ნარკოტიკული საშუალებები, ძვირფასი ნახატები და მოპარული ნივთები არ მოხვდეს, ერთადერთ ალტერნატივას ამანათის გატანის კანონიერი გზა, საქართველოს ფოსტა წარმოადგენს. თუმცა საქართველოს ფოსტის მომსახურება გაცილებით ძვირია და 1 კგ ტვირთი, დაახლოებით, 15 ლარამდე ჯდება.

# რა ხდება „კრიჭაში“, გეგუთის, რუსთავისა და ქსნის კოლონიებში

## სკანდალური ექსკლუზივი — რას გვიყვებიან პატიმრები

გიორგი იაშვილი

**იმის მიუხედავად, რომ მოქმედი ხელისუფლების მიმართ კრიტიკა ისმის, მინისტრთა კაბინეტის წევრები ჯიუტად ამტკიცებენ, რომ ყველაფერი კარგად მიდის და მათ სამინისტროებში არსებული პრობლემები უმნიშვნელოა. არადა, აშკარაა, რომ რამდენიმე მინისტრს მართვა უჭირს და ეს ყველაზე მეტად სოზარ სუბარს ეხება. სასჯელაღსრულების სამინისტროს მუდმივად გამადიდებელი შუშით აკვირდებოდნენ და თუ ნაციონალური მოძრაობის დროს ეს სისტემა ბოლომდე დახურულ-ჩარაზული იყო, სუბარმა გახსნა. რეალურად, ამან სიკეთე არ მოიტანა, რადგან ძალიან ბევრი მინუსი გამოჩნდა. შედეგად, კვლავ დაიწყო საქმეების კულუარებში გარჩევა და სამინისტროდან საჭირო ინფორმაციის მოპოვება უფრო და უფრო გაჭირდა.**

რეალურად, ხელისუფლება ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა — თუ ნაციონალური მოძრაობის დროს პატიმრებს არანაირი უფლებები არ ჰქონდათ და ყველაფერს ცემა-ტყეპით წყვეტდნენ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პატიმრებმა ზედმეტი თავისუფლება მიიღეს. შედეგად, სასჯელაღსრულებით სისტემებში ჯერ მობილური ტელეფონები გაჩნდა, მერე კომპიუტერები და უკაბელო ინტერნეტი, ბოლოს კი, ისიც ითქვა, პატიმრები არც სასმელისა და ნარკოტიკის უქონლობას უჩივიანო. დღესაც კი, საქართველოს ციხეებში მასშტაბური საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. პატიმრები შიმშილობენ და არაერთი მოთხოვნა აქვთ. არსებობს ვარაუდი, რომ აქციები გარედანაა მართული, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მათ ერთიანი მოთხოვნები არ გააჩნიათ, ეს ცოტა ძნელი დასაჯერებელია.

და მაინც, რა ხდება ციხეებში და რას ითხოვენ, რეალურად, პატიმრები? „ვერსიამ“ პრესისთვის უპრეცედენტო რამ გააკეთა და სასჯელაღსრულების ოთხი დაწესებულების პატიმარს ესაუბრა. როგორც გაირკვა, ხმამაღლა გამოთქმულ პროტესტს იქით, კიდევ ერთი პროტესტი იმალება — ჩუმი, მაგრამ ყველაზე მტკივნეული. მაშ ასე, ჩვენ მეექვსე (ე.წ. კრიტი) დაწესებულების ქალი მსჯავრდებული, გეგუთის, რუსთავისა და ქსნის პატიმრები გვესაუბრებიან.

**ირმა, მეექვსე დაწესებულების მსჯავრდებული:** — ჩვენ განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ. გვინდა, საქმეებს გადახედონ და ვისაც ვადამდე ადრე გათავისუფლება ეხება, გაათავისუფლონ. ვისაც მიაჩნიათ, რომ უკანონო პატიმარია, იმათ საქმეებს გადახედონ. ჩვენ ხომ არ ვამბობთ, კარი გააღეთ და ყველა გაგვიშვითო? ექვსი ქალი ვშიმშილობთ და კიდევ ორი დაგვემატება. არ შეიძლება, ადამიანი, მაგალითად, 7-8 წელი იჯდეს და მერე ვადამდე ადრე არ გაათავისუფლო. გაიძახიან, რაღა გინდათ, ხომ აღარ გცემენო? მადლობა, რომ აღარ გვცემენ, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, სხვა არაფერი გვეკუთვნის? გარედან მართული პროცესიაო, ამას წინათ თქვეს. ვაი, თქვენს პატრონს, მე ვიღაცის ინტერესების გულისთვის არც ვიშიმშილებ და არც თავს დავიჩეხავ... არადა, ამას ვაპირებთ.

**გეგი, გეგუთი:** — მხოლოდ ის არაა საქმე, რომ ადმინისტრაციამ ძალიან გაამკაცრა რეჟიმი და ნელ-ნელა ძველ დროს აბრუნებს — დაგვპირდნენ, საქმეები გადაიხედებაო და მოგვატყუეს. პირადად, ეკა ბესელია დაგვპირდა და მოგვატყუა. მედალს მეორე მხარეც აქვს. აქაური ადმინისტრაცია ე.წ. მაყურებლებს შეეკრა და იმათი ხელით სურს, გვმართოს. ახლა მასა შიმშილობს და მაყურებლები ვერაფერს ბედავენ, თორემ იყო დრო, როცა ერთი-ორი კაცი შიმშილობდა და ადმინისტრაციის მითითებით, მაყურებლები სასტიკად უსწორდებოდნენ. ციხეებში თამაშებიც დაიწყო, ჩვენი ზონიდან ყოველდღიურად ათი კაცი მაინც რეკავს ახლობლებთან, ფული ნავაგე და მიშველეთო. „სტავკა“, ერთი შეხედვით, დიდი არ არის, 2-3 ათასი ლარია, მაგრამ აბა იშოვეთ ეს თანხა, როგორია? სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მარტო თუ ვხვდებით, ამ თემაზე ვესაუბრებით, მაგრამ საშველი არსაიდან ჩანს. ბევრ პატიმარს აქვს შეხებული ვადაზე ადრე გათავისუფლება, ე.წ. უდო, მაგრამ უარს ეუბნებიან. სხვათა შორის, იმ პატიმართაგან, რომლებმაც თვითდაზიანება მიიყენეს, უმრავლესობამ მაყურებლების ზეწოლას ვერ გაუძლო. ვინმემ, იქნებ, მოახერხოს და თამაშები აკრძალოს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს, ციხეში შიდაბუნტი მოხდება და მერე პატიმრები თავს კი არ დაიჩეხავენ, მაყურებლებს დაერევიან...

**რეზო, ქსანი:** — ჩვენთან მთავარი პრობლემა ადმინისტრაციის მიერ გამკაცრებული რეჟიმია. თავიდან მაქსიმალურად მოუშვეს და ახლა როცა რეჟიმის დაბრუნება სურთ, პატიმრებს არ გვინდა დავთმოთ. არადა, განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ. ზამთარში თბილი ტანსაცმელი რომ შემოვიდეს, რატომ უნდა შეუთანხმო ან ციხის უფროსს, ან მაყურებელს? თუ ეჭვი აქვთ, რომ ტანსაცმელში ნარკოტიკი იქნება დამალული, გაჩხრიკონ და თუ იპოვიან, დაგვსაჯონ. აქ სხვა „თავია დამარხული“. როცა ზონის უფროსი გეუბნება, ტანსაცმელს შემოგატანინებო, სანაცვლოდ, სხვა რამეს გთხოვს და ეს ხშირად ჩაშვებაა. სახალხო დამცველის წარმომადგენლები ხშირად დადიან, მაგრამ საერთოდ არაფერს აკეთებენ. ჯერ ჩვენ გვესაუბრებიან, მერე კი ზონის უფროსთან მიდიან და ეუბნებიან, ესა და ეს პატიმარი უკმაყოფილოაო და მათი წასვლის შემდეგ ჩვენზე ზეწოლა იწყება. ასე აქვთ სისტემა აწყობილი და არც იმის მჯერა, რომ უჩა ნანუაშვილი სოზარ სუბარს სერიოზულად აკრიტიკებს ხოლმე. ისინი ერთად მოქმედებენ...

**გელა, რუსთავი:** — ნებისმიერ დროს, ვიმეორებ, ნებისმიერ დროს მოდით და ნახავთ, რომ მინიმუმ ორი კაცი შიმშილობს. ძირითადი მოთხოვნა საქმეების გადახედვაა, მაგრამ ზოგი შიმშილობას იმიტომ იწყებს, რომ თამაშებს აერიდოს და ფული არ წააგოს. მაყურებლები გვავიწროებენ და ამაზე ადმინისტრაცია თვალს ხუჭავს. ვინმე ერთხელ მაინც დაინტერესდა, რატომ წავიდა თანამდებობიდან ირაკლი კორძაია? მანაც ზეწოლას ვერ გაუძლო. პატიმრები მას სთხოვდნენ, გვიშველეო, მაგრამ რეალურად, ვეღარაფერს აკეთებდა, ზონის უფროსი ეუბნებოდა, სხვანაირად ვერ ვიჭერ სიტუაციასო და... როგორც ვიცი, ქურდებიც ურეკავდნენ კორძაიას და ათას რამეს სთხოვდნენ. შედეგად, გაცლა არჩია და ვითომც არაფერი, ისე გადადგა. აქ ერთი ფსიქოლოგი იყო, ქეთევან მაჩხაშვილი, ნაციონალების დროსაც კი პატიმრებმა მადლობის წერილი დაუწერეს. ეს ქალბატონი მოხსნეს და ისეთი ფსიქოლოგი დაგვინიშნეს, დამშვიდების ნაცვლად, გვაგიჟებს და ეს აწყობს ადმინისტრაციას. ნერვებაშლილი პატიმარი უფრო ადვილი სამართავია...

**P.S. სხვათა შორის, არავინ მალავს, რომ ადმინისტრაციის მიერ გამკაცრებული რეჟიმის გარდა, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ე.წ. მაყურებლების ინსტიტუტი და თამაშებია. თავანის ჩაბარება კიდევ ნებისმიერი პატიმრისთვის ღირსების საქმეა და თავნის ფულზე ციხიდან ჩვეულებრივი მობილურებით ირეკება. ყველა, ვიმეორებთ ყველა, ზონისა თუ ციხის ადმინისტრაციაში დგას მოწყობილობა, რომელიც მობილურის სიგნალს იჭერს, ანუ თუ მავთულხლართს იქიდან ირეკება, ადმინისტრაციამ იცის. შესაბამისად, ყველა პატიმართან ჩვენი საუბრის შესახებ იცის და... არაფერს აკეთებს.**

## „კავკასუს ონლაინი“ მომსახურების საფასურს აძვირებს

„კავკასუს ონლაინი“ მოხმარების სიჩქარეს ზრდის და გაძვირებაც ამითაა გამოწვეული. კომპანიამ მომხმარებლებს შეტყობინება სიახლის თაობაზე სმს-ით გაუგზავნა. გაგზავნილ სმს-ში კომპანია მომხმარებელს აფრთხილებს: **„აირჩიე სასურველი პაკეტი 7 მარტამდე WWW.CO.GE ან 7 მარტიდან გაგიაქტიურდებათ პაკეტი 30 MB 35 ლარად“**. როგორც „პირველს“ „კავკასუს ონლაინში“ განუცხადეს, 30 MB-იანი პაკეტი ავტომატურად იმ მომხმარებელს გაუაქტიურდება, ვისაც 22 MB-იანი ინტერნეტი აქვს და შესაბამისად 30 ლარს იხდის. **„ცვლილება გამოიწვია აბონენტების მხრიდან სიჩქარის მომატების სურვილმა. რადგან ინდივიდუალურად შეცვლა ვერ ხერხდება, ამიტომ მინიმუმი ტარიფი დავიდა 10 MB-მდე და მისი ფასი 25 ლარი იქნება. დანარჩენი პაკეტების ფასები ასეთია: 30 MB — 35 ლარი, 50 MB — 45 ლარი, 100 MB — 100 ლარი ეღირება. ცალკე შეიქმნა სპეციალური ტარიფი რეგიონებისთვის 5 MB —20 ლარად, რომლითაც მომხმარებლები რუსთავსა და ფოთში, მოგვიანებით კი სხვა ქალაქებშიც ისარგებლებენ“,** — განუცხადეს „პირველს“ „კავკასუს ონლაინში“

*„პია“*

## ახალი სასწავლო წლიდან კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა 25-მდე შემცირდება

როგორც განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ განაცხადა, აღნიშნული გადაწყვეტილება სამინისტრომ ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიიღო.

**„კვლევების საფუძველზე გადაწყდა, რომ კლასში 15 სექტემბრიდან 25 ბავშვზე მეტი აღარ იქნება. ახლა ეროვნულ სასწავლო გეგმაში გვიწერია, რომ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 30 უნდა იყოს, თუმცა ეს შეიცვლება და გახდება 25. ჩვენ გავაკეთეთ შედარებითი ანალიზი სხვა ქვეყნების წარმატებულ მოდელებთან და ვფიქრობთ, ეს იქნება წარმატებული ცვლილება. ახლა ვიწყებთ ეროვნული გეგმის რევიზიას და ის, რაც ჩვენთვისაა მნიშვნელოვანი, გარკვეულ ცვლილებებს კიდევ განვახორციელებთ“,** — განუცხადა „პირველს“ ლია გიგაურმა.

*„პია“*

## პროკურატურა დავით კეზერაშვილისთვის მონაკოში არსებული ქონების — 7 600 000 დოლარის დაყადებას ითხოვს

აღნიშნული შუამდგომლობა ბრალდების მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე დააყენა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ადვოკატები პროკურატურის შუამდგომლობას აბსურდულს უწოდებენ და აცხადებენ, რომ მონაკოში არსებული თანხა კეზერაშვილის ბრალთან კავშირში არ არის.

დაყადაღდება თუ არა მონაკოს ბანკში არსებული 7 600 000 დოლარი, აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას საქალაქო სასამართლო შემდეგ პროცესზე მიიღებს, რომელიც 24 თებერვლისთვის ჩანიშნული.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, დავით კეზერაშვილს 7 პირთან ერთად ბრალი კონტრაბანდული გზით სპირტის რეალიზაციის სქემის მფარველობაში ედება.

*„პია“*

# სკანდალური სტატისტიკა — აფხაზურ ღვინოს რუსულ ბაზარზე 3.71% უკავია!

## რუსული დელიკატესი — ჩურჩხელა, ხინკალი და ხაჭაპური აფხაზური ღვინის თანხლებით

გიორგი იაშვილი

**ავსტრიის დედაქალაქ ვენაში არის რუსული მაღაზია, რომელსაც გარედან დიდი ასოებით აწერია — ყველაფერი რუსული და, როცა ავსტრიელები იქ შედიან, დარწმუნებულნი არიან, რომ ნამდვილ რუსულ პროდუქტს ყიდულობენ. ასე იქცა ავსტრიელთათვის „ბორჯომი“, „ხვანჭკარა“ და ჩურჩხელა რუსულ პროდუქტად. მაღაზიის მფლობელი რუსი და სომეხი ბიზნესმენები არიან და რომელს მოუვიდა თავში აზრად ქართული სასმელისა და ნუგბარის გარუსულება, ვერ გეტყვით. სხვათა შორის, 2009 ამ საკითხით დაინტერესება ავსტრიაში საქართველოს ელჩს ვთხოვეთ, მაგრამ მაშინ ყური არ შეიბერტყა და ვენაში „რუსული“ ბორჯომი, „ხვანჭკარა“ და ჩურჩხელა კვლავ იყიდება... მსოფლიოს ყურადღება ახლა სოჭისკენაა მიპყრობილი. ზამთრის ოლიმპიური თამაშები, ჯერჯერობით, მშვიდად მიმდინარეობს, მაგრამ...**

**„60-70-80-იან წლებში, სოჭი ძალიან პოპულარული კურორტი იყო და რუსეთის მოსახლეობის 40%-ზე მეტი ერთხელ მაინც იყო იქ ნამყოფი. სოჭში ყოფნისას, შეგიძლიათ დააგემოვნოთ სოჭის განთქმული ჩებურეკი, ხაჭაპური და ხინკალი. დესერტად კი მიირთვით ჩურჩხელა და არ დაგავიწყდეთ — რამდენიმე მათგანი თან გაიყოლეთ თქვენი ოჯახისა და მეგობრებისთვის. ეს რუსული დელიკატესი განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა“,** — ეს განცხადება ამერიკული ვებგვერდის, American Eagle Outfitters-ის საიტზეა განთავსებული.

პარალელურად, რუსული მედია იმ მონაცემებს აქვეყნებს, რომელიც გვამცნობს, რომ 2013 წელს მათ ქვეყანაში ღვინის ყველაზე დიდი იმპორტიორი საფრანგეთი გახლდათ, რომელმაც ბაზრის 20.18 პროცენტი აითვისა, მერე იტალია, ესპანეთი და სხვა ქვეყნები მოდიან. მერვე ადგილზეა საქართველო, რომელსაც თურმე ბაზრის 5.45 პროცენტი უჭირავს, ხოლო მეათე ადგილზე აფხაზეთია მითითებული. აფხაზურ ღვინოს ბაზრის 3.71 პროცენტი უკავია...

რუსეთის ყოფილმა მთავარმა საინტარმა გენადი ონიშენკომ, თავის დროზე, საქართველოდან ყველაფრის ექსპორტი რომ აკრძალა, იმით ახსნა, რომ თურმე ქართველები უხარისხო ღვინოს ვაკეთებდით და ირაკლი ოქრუაშვილის ნათქვამიც გაიხსენა — რუსულ ბაზარზე ფეკალიებიც იყიდებაო. ონიშენკომ მაშინ დაიმუქრა, სანამ ქართული ღვინო ევროპულისას არ დაეწევა, რუსეთის ბაზარს არ გავაკარებო. საინტერესოა, როგორ შედის რუსეთში აფხაზეთიდან ღვინო? მართალია, დიდი ხანია არ უჩვენებიათ აფხაზური შავი ზღვის სანაპირო, მაგრამ გვეეჭვება, იქაურ ქვიშაზე ვენახები გაეშენებინათ ან ციტრუსი გაეჩეხათ და მის ნაცვლად, ვაზი დაერგათ. სად აქვთ აფხაზებს იმდენი ღვინო, რუსეთის ბაზრის 3 პროცენტზე მეტი აითვისოს? აბა, როგორ ვთქვათ, მაგრამ სადღაც მართალი ყოფილა ოქრუაშვილი, რადგან აფხაზეთიდან შეტანილი ღვინო ფეკალიებისგან დიდად განსხვავებული არ უნდა იყოს და თუ რაღაცის ან ვიღაცის ხათრით „ატარებდა“ ონიშენკო, კი დაუწყია ჭამა... სხვათა შორის, ღვინო მაყვლისა და ვაშლისგანაც კეთდება, მაგრამ რა ვუყოთ, რომ აფხაზეთში არც ვაშლია ბევრი და არც მაყვალი იმდენი, ღვინო ექსპორტზე გაიტანონ. ციტრუსის ღვინო მე არ გამიგია და ახლა თუ მოიგონეს, ბოდიშს მოვიხდი!

მეორეს მხრივ, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ აფხაზეთში ღვინო ჯერ საქართველოდან შედიოდა და შემდეგ ხვდებოდა რუსულ ბაზარზე. ამით ქართული მხარეც ხეირობდა, აფხაზურიცა და რუსულიც. ის, რომ აფხაზეთი დიდი ხანია ქართველი ბიზნესმენებისთვის საინტერესოა, ძალიან მარტივად დადასტურდა. როგორც კი გაირკვა, სოხუმში, შესაძლოა, „მაკდონალდსის“ საფირმო რესტორანი გახსნილიყო, თემურ ჭყონიამ მაშინვე განაცხადა, თუ ვინმე გახსნის, მე გავხსნი და მჯერა, წარმატებითაც იმუშავებსო. რამდენად წაადგება აფხაზეთში სუფთა ამერიკული ბრენდის შესვლა ქართულ საქმეს, ვერ გეტყვით, მაგრამ მავანმა იქ ლუდის შეტანაზეც დაიწყო საუბარი, ვიღაცამ ღვინო ახსენა და... კუდ-ის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რომელიც ახლა თანამდებობაზე აღარ მუშაობს და პოლონეთში ბიზნესითაა დაკავებული, დღემდე მეუბნება, შესაბამისი თანხის სანაცვლოდ, შემიძლია აფხაზეთში დღეში ორი „კამაზი“ გადავიყვანო, რითაც გინდა დატვირთე, მთავარია გადაიხადო და ანალოგიურად, იქიდანაც შემიძლია ნებისმიერი პროდუქტის ჩამოტანაო. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ აფხაზეთის მიმართულებით, სურვილის შემთხვევაში, ორი კი არა, ოცი სატვირთო მანქანის გადასვლაა შესაძლებელი, შავი ბიზნესის კეთებაში ბადალი რომ არ გვყავს, ესეც კარგად მოგეხსენებათ.

**КРУПНЕЙШИЕ СТРАНЫ-ИМПОРТЕРЫ ВИНА В РОССИЮ В 2013 г.**

| Страна-импортер | Объем поставок, млн дал | Доля в объеме импорта, % |
|---|---|---|
| Франция | 5,47 | 20,18 |
| Италия | 4,3 | 15,87 |
| Испания | 3,68 | 13,59 |
| Украина | 1,8 | 6,67 |
| Германия | 1,75 | 6,45 |
| Молдова | 1,71 | 6,32 |
| Чили | 1,57 | 5,79 |
| Грузия | 1,47 | 5,45 |
| Болгария | 1,34 | 4,96 |
| Абхазия | 1 | 3,71 |
| Остальные | 2,98 | 11,01 |

Источник: ФТС

სხვა თემაა ჩურჩხელას, ხაჭაპურისა და ხინკლის რუსულ კერძებად მონათვლა, ქართული მხარე არც ამას აპროტესტებს. არადა, ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ, რუსები ჩვენი ეროვნული კერძების ოკუპაციაზე გადადიან და, ნუ გაგიკვირდებათ, თუ რუსეთის ქალაქებში მალე რესტორნებს „ხინკალნაიას“ ნაცვლად „სახინკლე“ დაეწერება. ვიძახოთ მერე, „სახინკლე“ ქართული დასახელებაა, ერთი ასო რომ შევცვალოთ, მამაპაპურ გინებასაც მივიღებთო, მაგრამ ამდენი წელია, სწორედ ერთი ასოს პრობლემა აქვს ხელისუფლებას.

**P.S. დიდი ალბათობით, ვლადიმერ პუტინი მალე გიორგი მარგველაშვილს შეხვდება და კარგი იქნება, თუ ამ შეხვედრაზე მარგველაშვილი აფხაზური ღვინის დაგემოვნებას მოითხოვს. ვითომ არ აინტერესებს, რას მიუტანენ?!**



მაია მიშელაძე
593-51-90-12

# ხუდონჰესთან დაკავშირებული აზომვითი სამუშაოები ხაიშელების თხოვნით შეჩერდა

## კახა კალაძე პირობას დებს, რომ ხუდონთან დაკავშირებით, მოსახლეობისა და ინვესტორის ინტერესებს დაიცავს!

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განმარტებით, ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, სოფელ ხაიშში აზომვითი სამუშაოების შეჩერება ადგილობრივმა მოსახლეობამ მოითხოვა. მეტიც, მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ ხუდონჰესთან დაკავშირებით, არც მოსახლეობისა და არც ინვესტორის ინტერესები არ დაირღვევა.**

ენერგეტიკის მინისტრმა, **კახა კალაძემ** სამშაბათს, 11 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ის მიწები დაუბრუნდება, რომელიც უკვე ჩამოერთვათ და ინვესტორს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცა. მინისტრის თქმით, სწორედ ამას უკავშირდებოდა აზომვითი სამუშაოები, რათა თითოეულ ხაიშელს მიწა დაურეგისტრირდეს, მიწის რეგისტრაციის ხარჯები კი უშუალოდ ინვესტორმა, კომპანია „ტრანსელექტრიკამ“ საკუთარ თავზე აიღო:

**„როდესაც აზომვითი სამუშაოები დაიწყო, ამზომველები რამდენიმე ოჯახში შევიდნენ. მოსახლეობის გარკვეულმა ჯგუფმა პროტესტი გამოთქვა, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს მათ, ვინც ამზომველთა ჯგუფს სამუშაოების განხორციელების ნება დართო და გზები გადაკეტეს. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობაში დაპირისპირებისა თუ ვითარების ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, მივიღეთ გადაწყვეტილება და მათივე თხოვნით, აზომვითი სამუშაოები რამდენიმე ხნით შევაჩერეთ“,** — განაცხადა კალაძემ.

მინისტრის განმარტებით, აზომვითი სამუშაოების შეჩერება იმას არ ნიშნავს, რომ ხუდონჰესის პროექტი არ განხორციელდება. რაც შეეხება სასჯელაღსრულების მინისტრის ამ საკითხში ჩართულობას, კახა კალაძემ განმარტა, რომ სოზარ სუბარს ადგილობრივი მოსახლეობა დიდ პატივს სცემს და ამ პროცესში მისი ჩართვა ხაიშელებმა მოითხოვეს:

**„რაც შეეხება სოზარ სუბარის პოზიციას, მან ღიად დაიფიქსირა საკუთარი ხედვები ხუდონჰესის პროექტთან მიმართებაში. ეს პროექტი მხოლოდ ენერგეტიკის სამინისტროს საკუთრება არ არის, სრულიად საქართველოს პროექტია და ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებელობის კუთხით, მისი განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია. მეტიც, ხუდონჰესის პროექტის განხორციელება პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეკონომიკის განვითარებასთან“.**

კახა კალაძის თქმით, ხუდონჰესთან დაკავშირებით, სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევს არც ადგილობრივი მოსახლეობის და არც ინვესტორის უფლებებს. მინისტრის განმარტებით, საქართველოს მთავრობას კარგად ესმის ამ საკითხის სირთულე და სენსიტიურობა: **„პირობას გაძლევთ, რომ მაქსიმალურად გავითვალისწინებთ, როგორც ხაიშელების, ასევე ჩვენი ქვეყნისა და ინვესტორის ინტერესებსაც“.**

ენერგეტიკის სამინისტრო ხაიშელებს, დაახლოებით, 15-კაციანი ჯგუფის შექმნას სთავაზობს, რომლებიც ხუდონჰესის პროექტის განხილვაში მიიღებენ მონაწილეობას და პერიოდულად, სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდებიან. კახა კალაძემ ისიც აღნიშნა, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრას ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილიც გეგმავდა, მაგრამ როდესაც შეხვედრა მზადდებოდა, მოსახლეობამ უარი განაცხადა. კახა კალაძე აპირებს, რომ უახლოეს მომავალში ხაიშში ჩავიდეს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდეს.

11 თებერვალს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, სხვადასხვა დარგის ექსპერტებმა ხუდონჰესის პროექტის მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს. ექსპერტებმა ხუდონჰესის პროექტი შეაფასეს, როგორც ენერგეტიკული, ასევე ფინანსური, გარემოს დაცვისა და სამხედრო თვალსაზრისითაც. „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (აფბა) ვიცე-პრეზიდენტმა, **მერაბ ჯანიაშვილმა** აღნიშნა, რომ აფბა დიდი ხანია, ამ პროექტს მხარს უჭერს:

**„დისკუსია ძალიან საინტერესო რეჟიმში წარიმართა, რადგან ყველა მხარის პოზიცია და არგუმენტი მოვისმინე. იმედი მქონდა, დოკუმენტურად დასაბუთებულ შეფასებებს მივიღებდი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ უნდა აშენდეს ხუდონჰესი. სამწუხაროდ, ხუდონჰესის აშენების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ შესაძლოა, ჩატარებული კვლევები არაზუსტია. არადა, საუბარია მსოფლიო ბანკისა და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებზე, რომელთა კომპეტენციაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გვაქვს. რაც შეეხება ეკონომიკურ გათვლებს, ხუდონჰესის პროექტის ფინანსური მასშტაბები, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მართლაც შთამბეჭდავია და ამ მიმართულებით, ამ პროექტის საწინააღმდეგო არგუმენტები არ მომისმენია. აქედან გამომდინარე, იმ კვლევების საფუძველზე, რაც უკვე ჩატარდა და იმ ფინანსური სარგებლის გათვალისწინებით, რასაც საქართველო ამ პროექტის განხორციელებით მიიღებს, ხუდონჰესი უნდა აშენდეს!“**

# დავით ბერძენიშვილი: „კოალიციიდან არავინ მიდის და ვერც ვერავის გააგდებენ!“

ეროსუდან შელია
557-100-768

**საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის ჩაშლილი სხდომის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, შეთანხმების შანსებზეც ისაუბრა. მიუხედავად ამისა, არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის საარჩევნო კოდექსში ერთ-ერთ სადავო საკითხად მერებისა და გამგებლების არჩევნებისთვის დაწესებული 40%-იანი და 33 %-იანი ბარიერი რჩება, პოლიტიკური პარტიები თვითმმართველი ქალაქების მერის საარჩევნო ბარიერის 50%-მდე აწევასაც ითხოვენ. დათანხმდება თუ არა მმართველი გუნდი ოპოზიციის მოთხოვნებს და როდის გეგმავს ლევან ვეფხვაძესთან ერთად ოპოზიციურ ფლანგზე ბრძოლას, „ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი ესაუბრა.**

— საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, არასაპარლამენტო ოპოზიციასთან უამრავ საკითხზე შევთანხმდით. მაგალითად, არავინ საუბრობს, რომ 5%-იანი საარჩევნო ბარიერი 4%-მდე დავწიეთ და, მუნიციპალიტეტებში მისი გადალახვის შემთხვევაში, პოლიტიკური პარტია მანდატების განაწილების პროცესში ჩაერთვება. კონიუნქტურული თვალსაზრისით, აღნიშნული ცვლილება „ქართული ოცნებისთვის“ ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ბარიერის გადალახვის საკითხი ჩვენთან არ დგას — საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 60%-ზე მეტი მივიღეთ. იმ პოლიტიკური ძალებისთვის კი, ვისთვისაც ჯერ კიდევ გაურკვეველია, თვითმმართველობის არჩევნებში რა კონფიგურაციით ჩაერთვებიან, 4%-იან ბარიერს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამით ახალი პოლიტიკური სუბიექტების გაჩენის შესაძლებლობა მოვძებნეთ.

**— მაშინ რატომ ვერ მოიძებნა შესაძლებლობა, საეთერო დრო ყველა პოლიტიკურ ძალაზე თანაბრად გადანაწილებულიყო, საარჩევნო კომისიაში კი ხმის დათვლის პროცესში ერთი არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელიც ჩართულიყო?**

— არსებული კანონმდებლობით, კვალიფიციურ სუბიექტებს, სხვებთან შედარებით, უპირატესობა აქვთ. ეს საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნების შედეგად დადგენილი წესებია და პირად გემოვნებას სულაც არ უკავშირდება. თუ თვითმმართველობის არჩევნებში პარტიები ცალკ-ცალკე ან კოალიციურ რეჟიმში 3%-ს გადალახავენ, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსს შეინარჩუნებენ, შესაბამისად, თანმხლები პრივილეგიებითაც ისარგებლებენ. სხვათა შორის, ოთხი წლის განმავლობაში, საბიუჯეტო დაფინანსების მისაღებად, ბარიერი 4%-დან 3%-მდე სწორედ ჩვენ დავწიეთ. ასე რომ, კონკრეტულად, საეთერო დროის გადანაწილება და საარჩევნო კომისიაში ერთი წარმომადგენლის არსებობა მხოლოდ მომავალი არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდთან შედარებით, საარჩევნო გარემო თვისებრივად გაუმჯობესებულია და ამას ნაციონალებიც აღიარებენ.

**— არასაპარლმენტო ოპოზიცია კი ხათუნა გოგორიშვილის მიერ დაწერილი საარჩევნო კოდექსის თავგამოდებულ დაცვაში გდებთ ბრალს.**

— ამ ბრალდების კონკრეტულ არგუმენტებს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ვერ დაასახელებენ, რადგან, წინამორბედისგან განსხვავებით, არჩევნებს არ ვაყალბებთ! საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებსგარეთ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაგვიდასტურეს. თუ პროცესებს პრაგმატულად გავყვებით, დღეს კოალიციის წინაშე არ დგას საკითხი, არჩევნებს მოვიგებთ თუ წავაგებთ. როგორც საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ახლაც ძირითადი ბრძოლა მეორე ადგილისთვის გაიმართება.

**— საკითხავი ის არის, არჩევნების შემდეგ გახდება თუ არა „ქართული ოცნების“ ყველა კანდიდატი მერი ან გამგებელი?!**

— შესაძლოა, ყველა ოლქსა და უბანში „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაიმარჯვოს, ასე არც საპრეზიდენტო არჩევნებში მომხდარა, მაგრამ მასობრივად, კოალიცია საარჩევნო კამპანიის ფავორიტია. სხვათა შორის, არასაპარლამენტო პარტიების დიდმა ნაწილმა მოგვთხოვა, მერებისა და გამგებლების კანდიდატად წარდგენის უფლება მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტებს უნდა ჰქონდეთო. არასამთავრობო ორგანიზაციები რეკომენდაციებს გვიგზავნიან, საინიციატივო ჯგუფებიდან წარდგენილ დამოუკიდებელ კანდიდატებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ნუ შეზღუდავთო. მესმის, დამოუკიდებელი კანდიდატები პოლიტიკურ პარტიებს ხელს უშლიან, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნების იგნორირებაც არ გამოვა. მსგავს ვითარებაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთულია.

**— 50%-იანი ბარიერის საკითხი რატომ გახდა რთული გადასაწყვეტი, როცა არც ისე დიდი ხნის წინ, ნაციონალური მოძრაობისგან „რვიანის“ ფორმატში მას თავად ითხოვდით?**

— დიახ, ვითხოვდი, მაგრამ „რვიანის“ ფორმატში 50%-იანი ბარიერი, მართლაც, პრიორიტეტული იყო, რადგან ოპოზიციას, ირაკლი ალასანიას სახით, ძლიერი ლიდერი ჰყავდა. შესაბამისად, 50%-იანი ბარიერის შემთხვევაში, ირაკლი ალასანიასა და გიგი უგულავას შორის მეორე ტურის ალბათობა დიდი იყო. დღესაც გავიმეორებ, რომ 50%-იანი ბარიერი საუკეთესო ვარიანტია, მაგრამ მერწმუნეთ, ამ ეტაპზე, ბარიერი 50%-იანი გვექნება თუ 40%-იანი, არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

**— მაშინ რამ განაპირობა 40%-მდე ბარიერის დაწევა, თუ აცხადებთ, რომ ხელისუფლებას საკუთარი კანდიდატის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება?**

— აქ დათმობაზე არ არის, უბრალოდ, საარჩევნო კოდექსი ჩვენ თავზე არ მოვირგეთ. არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის ბევრად მნიშვნელოვანი კვალიფიციურ პარტიებად დარჩენის საკითხია ანუ გადალახავენ თუ არა 3%-იან ბარიერს. უამრავ ქვეყანაში საარჩევნო ბარიერი საერთოდ არ არსებობს, რადგან ის ქვეყნის დემოკრატიულობის განსასაზღვრად ერთადერთი კრიტერიუმი არ არის. „მრეწველებიც“ არ მალავენ, რომ ბარიერის არსებობის მომხრე საერთოდ არ არიან, თუმცა კომპრომისზე კოალიციის დანარჩენი სუბიექტების გამო წავიდნენ.

> **სხვათა შორის, ზოგიერთის ადგილზე რომ ვიყო, „რვიანის“ ფორმატს საერთოდ არ გავიხსენებდი. მაშინ, როცა შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ და ნაციონალების მიერ შემოთავაზებულ 30%-იან ბარიერს არ დავთანხმდით, ლევან ვეფხვაძემ და ჯონდი ბაღათურიამ მაშინდელ ხელისუფლებას სახე შეუნარჩუნეს და შემოთავაზებულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს. ახლა კი, არიქა, 50%-ზე ვიკლავთ თავსო, რომ ამბობენ, როგორც მინიმუმ, გაუგებარია.**

**— ისე, ლევან ვეფხვაძე 50%-იანი ბარიერისთვის ბრძოლას რამდენიმე თვეში მასთან ერთად გიწინასწარმეტყველებთ...**

— ლევან ვეფხვაძეს ვუსურვებ, ჯერ ისეთივე მებრძოლი პარტია ჩამოაყალიბოს, როგორიც რესპუბლიკური პარტიაა. რა თქმა უნდა, რომელიღაც არჩევნებს აუცილებლად წავაგებთ, მაგრამ 36 წლის განმავლობაში პოლიტიკურ ასპარეზზე დარჩენა მოვახერხეთ, ქრისტიან-დემოკრატებმა კი ჯერ თვითმმართველობის არჩევნებში, შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში რაღაც შედეგი მაინც უნდა დადონ. ლევან ვეფხვაძემ ისიც გაითვალისწინოს, რომ მინიმუმ სამი წელი ხელისუფლებაში ვართ, თანაც მზარდი რეიტინგის პირობებში და დღეს კოალიციაში მეორე ადგილსაც ვიკავებთ.

**— თუმცა არასაპარლამენტო ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას ელის — ირაკლი ღარიბაშვილი კოალიციის რჩევებით დაიღალა და პარლამენტში მხოლოდ მის ხალხს შეიყვანსო.**

> **— აბსოლუტურად ნორმალურ რეჟიმში ვთანამშრომლობთ. პრაგმატულად, არც კოალიციის წევრ პარტიებსა და არც მის ლიდერს აქვს სურვილი, ერთმანეთისგან განცალკევდნენ. ასოცირების ხელშეკრულება, ვიზების ლიბერალიზაცია — ეს ის საკითხებია, რომლებიც ყველა სუბიექტმა ერთად უნდა გადავლახოთ. უფრო მარტივადაც ვიტყვი — კოალიციიდან არავინ მიდის და ვერც ვერავის გააგდებენ!**

**— თქვენი განცხადება მუქარას უფრო ჰგავს...**

— არა, უბრალოდ, მომავალში სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნება კოალიციაში შემავალი ყველა სუბიექტის ინტერესებშია. ხელისუფლებაში ვართ და ეს ყველაზე დიდი მოტივაციაა. უამრავი საქმე ერთად გამოგვივიდა, მძიმე კოჰაბიტაციური პერიოდიც, პრაქტიკულად, დანაკარგის გარეშე გავიარეთ. დასავლეთშიც არავინ საუბრობს, ვანო მერაბიშვილი პოლიტიკური პატიმარიაო. ყოფილი პრემიერ-მინისტრი მისმა მეგობარმა სააკაშვილმაც კი დაივიწყა. როცა მას მუხროვანის კადრებზე კომენტარი სთხოვეს, ხელები დაიბანა — ქართულ პოლიტიკაში ნუ ჩამრევთო.

**— თუ ექსპრეზიდენტმა ყოფილი პრემიერი გაწირა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვანო მერაბიშვილი მის წინააღმდეგ გამოძიებასთან ითანამშრომლებს, რაზეც, შესაძლოა, რამდენიმე თვის წინ მიანიშნებდა?**

— ამას დრო გვაჩვენებს, მაგრამ ფაქტია — ნაციონალურ მოძრაობას არსებულ საარჩევნო ნიშნულზე გაჩერება გაუჭირდება. მათ აქ სააკაშვილი რომ ჰყავდეთ, უფრო მძიმე მდგომარეობაში იქნებოდნენ. ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური კეთრია, რომლის მიმართ საზოგადოებაში აგრესია დიდხანს არ განელდება. მათი რეალური რეიტინგი, „ენდიაის“ კვლევების მიხედვითაც კი, რომელსაც ისინი ენდობიან, 9%-ს არ აჭარბებს. მათ ვერც მუდმივი ხმაური და აჟიოტაჟი შველის, პირიქით, საზოგადოებაში მეტ უკმაყოფილებას იწვევენ. თუ თვითმმართველობის არჩევნებში ნაციონალებმა ერთიფრიანი მაჩვენებელი დააფიქსირეს, მათი გაკოტრების პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს.

## ვერსიანიუსი

### პრეზიდენტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში პირველი ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება

12 თებერვალს ბაქოში გიორგი მარგველაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდება, რის შემდეგაც ორივე ქვეყნის ლიდერები მედიისთვის ერთობლივ განცხადებას გააკეთებენ. საქართველოს პრეზიდენტი ასევე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არტურ რასი-ზადესა და პარლამენტის თავმჯდომარე ოქტაი ასადოვთან გამართავს შეხვედრებს.

13 თებერვალს ქვეყნის პირველი პირი ქალაქ კახს ეწვევა და ადგილობრივ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას შეხვდება, ასევე ქალაქ გაბალას ესტუმრება. დელეგაციის შემადგენლობაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი არიან. დელეგაცია საქართველოში 13 თებერვალს დაბრუნდება.

*„პია“*

### თამარ სანიკიძე: „ტექნოლოგიური უნივერსიტეტის იდეა მილენიუმის კორპორაციამ დაიწუნა“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან დაკავშირებით, განმარტება გააკეთა. როგორც თამარ სანიკიძემ პროექტ „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობის ფარგლებში“ ჟურნალისტებთან თემის კომენტირებისას განაცხადა, არასწორია ინფორმაცია, როდესაც ამბობდნენ, რომ ტექნოლოგიური უნივერსიტეტი მილენიუმის კომპაქტის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო.

**„ტექნოლოგიური უნივერსიტეტის იდეა შემოთავაზებული იყო საქართველოს მთავრობის მხრიდან და დაწუნებული მილენიუმის კორპორაციის მიერ, რადგან შეფასდა, როგორც წამგებიანი და არარელევანტური. შესაბამისად, ეს იდეა მას შემდეგ არ განვითარებულა. ჩემი თხოვნაა, ამაზე დავასრულოთ საუბარი. არც დაგეგმილა, არც განვითარებულა ამის კონცეფცია და, შესაბამისად, არც ახლა წარმოადგენს განხილვის საგანსა და პრიორიტეტს“,** — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

*„ინტერპრესნიუსი“*

## „პუტინმა მარგველაშვილს ჭკვიანური სიგნალი მისცა“

ვლადიმერ პუტინი მზადაა, სურვილის შემთხვევაში, გიორგი მარგველაშვილს შეხვდეს, ამ ინიციატივას აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა „პირველთან“ საუბარში აფასებს.

**„პირველ რიგში, ვფიქრობ, პრეზიდენტმა პუტინმა ჭკვიანური ნიშანი მისცა პრეზიდენტ მარგველაშვილს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთს სურს, საქართველოსთან ურთიერთობის საკითხს მეტი ყურადღება დაუთმოს, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ. პუტინის მიერ ასეთი თანამშრომლობა საქართველოს ნებისმიერ პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილის წასვლის შემდეგ, დიდი ხანია, მოსალოდნელი იყო. სოჭის ოლიმპიადის შემდეგ, ახალი მოვლენა შესაძლოა, კრემლის მიერ თბილისზე ზეწოლა და ყველანაირი ბერკეტის გამოყენება იყოს, რათა საქართველოს არჩეული კურსიდან გადაახვევინოს“,** — განუცხადა „პირველს“ ბრაიზამ.

პუტინის მიერ გამოთქმულ მზადყოფნაზე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის პასუხს ამერიკელი დიპლომატი გონივრულად აფასებს.

**„აქედან გამომდინარე, პრეზიდენტ მარგველაშვილის გადაწყვეტილება გონივრულია — კონსულტაციები გაიაროს საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებთან, როგორც ხელისუფლების, ასევე, ოპოზიციას წარმომადგენლებთან, რათა ჩამოაყალიბოს ჭკვიანური სტრატეგია პრეზიდენტ პუტინის ახალ ძალისხმევასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერისა და საბოლოოდ, ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების პროცესის, რასაც ქართველი ამომრჩევლის უმრავლესობა უჭერს მხარს“,** — აცხადებს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწე.

ვლადიმერ პუტინი მზადაა, სურვილის შემთხვევაში, გიორგი მარგველაშვილს შეხვდეს. საპასუხოდ, მარგველაშვილმა განაცხადა რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციებს გაივლის.

*„პია“*

## სერგო ჯავახაძე ახალი ინიციატივით გამოდის

სამართლიანი საქართველოსთვის ლიდერი სერგო ჯავახაძე აცხადებს, რომ ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებზე საინიციატივო ჯგუფებით წარმოდგენილი კანდიდატების რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს:

**„თვითმმართველი ქალაქების მერობის, მუნიციპალიტეტის, გამგებლების კანდიდატების წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების ან პოლიტიკური ბლოკების მიერ. რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ვითხოვთ, ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე საინიციატივო ჯგუფებით წარმოდგენილი კანდიდატების რეგისტრაცია გავაუქმოთ. ასევე, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე. ამ ინიციატივით ინტერფრაქციულ ჯგუფში შევდივართ და ხელისუფლებას მივმართავთ, აღნიშნული აუცილებლად გაითვალისწინოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითკონსულტაციები პოლიტიკურ სუბიექტებთან გავიარეთ და მათი უმრავლესობის მხარდაჭერა გვაქვს. კიდევ ერთხელ მივმართავ „ქართულ ოცნებას“, თუკი ორიენტირებულია, არასაპარლამენტო ოპოზიცია გაძლიერდეს და მრავალპარტიული მმართველობა იყოს, ეს ინიციატივა უნდა გაითვალისწინოს, უარის შემთხვევაში კი, გამოდის, ისინი ნაციონალური მოძრაობის კურსს აგრძელებენ“.**

*„პია“*

# ყაზახური კომპანია „აკსაი ბიემსი“ ენერგეტიკის სამინისტროს სასამართლოში უჩივის

## რატომ შეუჩერეს 25-წლიანი ლიცენზია ყაზახ ინვესტორებს და რა განცხადებას ავრცელებს კახა კალაძის უწყება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ყაზახურმა საინვესტიციო კომპანია „აკსაი ბიემსიმ“ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ წინააღმდეგ, 2013 წლის 9 ოქტომბერს, თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, საქართველოს სახელმწიფო ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლას ხელს არ უწყობს, რაც კომპანია „აკსაი ბიემსის“ მიმართ განხორციელებული სანქციებითაც გამოიხატება. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფომ კომპანიას ლიცენზია იმის გამო შეუწყვიტა, რომ „აკსაი ბიემსი“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არ ასრულებდა.**

„აკსაი ბიემსი“ შვილობილია გიგანტური ყაზახური კომპანია „მანგისტაუგეოლოგიისა“, რომელიც 50 წელზე მეტია, ყაზახეთის ბაზარზე წარმატებით ახორციელებს ჭაბურღილების ბურღვასა და სარემონტო სამუშაოებს. „აკსაი ბიემსიმ“ საქართველოში უკვე 5 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა და დასავლეთ საქართველოში, სამუშაო პროგრამის პირველ-მეორე ეტაპზე, 150-ზე მეტი ადგილობრივი დაასაქმა. 2006 წელს, საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ყაზახურმა კომპანიამ ნახშირწყალბადის ძიებასა და მოპოვებაზე 25-წლიანი ლიცენზია მიიღო. კომპანია დაინტერესებულია, სამუშაოები გააგრძელოს და კიდევ 10 000 000 აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელოს, თუმცა „აკსაი ბიემსისა“ და საქართველოს სახელმწიფოს შორის გარკვეული უთანხმოება არსებობს. კომპანია ცდილობს, დავა მშვიდობიანი გზით დაარეგულიროს, თუმცა მოპასუხე მხარე, ამ შემთხვევაში, ენერგეტიკის სამინისტროსა და ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო პრობლემებს ქმნის. მეტიც, ენერგეტიკის სამინისტრო „აკსაი ბიემსის“ კუთვნილი ლიცენზიის გაყიდვას აპირებს, ამ მიზნით, ახალ სატენდერო პირობებს ამზადებს და მოლაპარაკებებს სხვა კომპანიებთან აწარმოებს. ამდენად, „აკსაი ბიემსი“ იძულებულია, ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟს მიმართოს, რაც ნეგატიურად იმოქმედებს ქვეყნის რეპუტაციაზე.

სასამართლოზე „აკსაი ბიემსის“ ერისთავის იურიდიული ჯგუფი წარმოადგენს. კომპანიის იურისტის, **დავით ერისთავის** განცხადებით, ამ საქმეში კორუფციული ინტერესები იკვეთება: **„რა თქმა უნდა, კორუფციული ინტერესი ენერგეტიკის მინისტრისა და სამინისტროს მენეჯმენტის დონეზე არ ჩანს, რადგან სამინისტრო არ არის გარკვეული იმ დეტალებში, რის საფუძველზეც „აკსაი ბიემსის“ ლიცენზია ჩამოართვეს. ამ ეტაპზე, დადგენილია, რომ სახელმწიფომ გარკვეული ბარიერები ხელოვნურად შექმნა, რადგან ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობით, კომპანიას ბურღვითი სამუშაოები 2 200 მეტრის სიღრმეში უნდა შეესრულებინა, ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ ამ ტიპის სამუშაოების წარმოება შედეგის მომტანი არ იქნებოდა, რის გამოც მიზანშეწონილად ჩათვალეს, ბურღვითი სამუშაოები 500 და 900 მეტრის სიღრმეში ჩაეტარებინათ. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიამ წიაღისეული უნდა აღმოაჩინოს, სახელმწიფომ კი ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ლიცენზიის მქონე, მაძიებელ კომპანიას ხელი შეუწყოს, რომ სამუშაოები წარმატებით დასრულდეს. ამის ნაცვლად, სახელმწიფომ მოითხოვა, რომ „აკსაი ბიემსის“ 2 200 მეტრზე გაებურღა, რაც, პრაქტიკულად, რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის გადაყრას ნიშნავდა. გარდა ამისა, სახელმწიფომ „აკსაი ბიემსის“ წუყენა პირობა, რომ 2 200 მეტრის სიღრმის ჭაბურღილი სამ თვეში გაებურღა, რასაც ვერც ერთი ქვეყნის კომპანია ვერ შეძლებდა, იმდენად არარეალური იყო ეს ვადა. სწორედ ეს გამოიყენა ენერგეტიკის სამინისტრომ იმის მიზეზად, რომ ყაზახური კომპანიისთვის ლიცენზია ჩამოერთმია. მაინტერესებს, რატომ მოექცა სახელმწიფო ასე უდიერად ინვესტორს, რომელმაც საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსები შემოიტანა ქვეყანაში? მეტიც, მოლაპარაკებებსაც კი არ მართავს კომპანიასთან, რაც ბევრ კითხვას ბადებს, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ენერგეტიკის სამინისტრო ახალ ტენდერს ამზადებს და მოლაპარაკებებსაც სხვა კომპანიებთან მართავს. მიუხედავად ამისა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს საკითხი დავის გარეშე გადაწყდეს. გვინდა, სწორი მესიჯი მივიტანოთ ენერგეტიკის სამინისტრომდე, რომ ასეთი შეცდომა არ დაუშვან. საკმაოდ რთული ვითარებაა ყაზახეთშიც, შესაძლოა, იქამდეც კი მივიდეს საქმე, რომ მათ სხვა ინვესტორებსაც ურჩიონ, საქართველოში თანხა არ დააბანდონ“.**

როგორც ყაზახური კომპანია „მანგისტაუგეოლოგიის“ გენერალური დირექტორი **იერლან ინკარბეკოვი** აცხადებს, **„საქართველოში დამატებით, 10 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებასაც ვგეგმავდით, მაგრამ 2013 წელს, საქართველოს მთავრობასთან კონფლიქტი შეგვექმნა. შეუსრულებელი პირობების გამო, ენერგეტიკის სამინისტრომ ლიცენზია ჩამოგვართვა. მიგვაჩნია, რომ ლიცენზია ძალით წაგვართვეს, მაგრამ იმას არ ვამბობთ, რომ ეს სახელმწიფოს პოლიტიკაა, ხაზს ვუსვამთ, ეს მთავრობის ცალკეული წევრების მიერ დაშვებული შეცდომაა. ვფიქრობთ, ასეთ ქმედებაში აშკარად ჩანს ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება უცხოური ინვესტორების მიმართ საქართველოში. არადა, საქართველო ცდილობს, ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდეს, მაგრამ ევროკავშირში შემავალი არც ერთი ქვეყანა არ მახსენდება, სადაც უცხოელი ინვესტორების მიმართ მსგავს დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი. პირდაპირ თუ ირიბად, ასეთი დამოკიდებულება მაინც აისახება ორი ქვეყნის ურთიერთობაზე, არადა, კარგად იცით, რომ ყაზახეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია“.**

„ვერსიის“ კითხვაზე, რა მიზეზით ჩამოართვა ენერგეტიკის სამინისტრომ ლიცენზია „აკსაი ბიემსის“, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ყაზახ კოლეგებთან, იერლან იკარბეკოვმა უპასუხა, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ ხელოვნურად შექმნა გარკვეული პირობები, რომლის შესრულებას კომპანია ვერ შეძლებდა: **„მაგალითად, გვითხრეს, რომ გარკვეული სამუშაოები წლის ბოლომდე უნდა შეგვესრულებინა, რისთვისაც 2013 წლის მაისში, სპეციალურ პროტოკოლს მოვაწერეთ ხელი, რომლის საფუძველზეც, კონტრაქტის დამატებითი პირობები გაიწერა, ამის გარეშე არც ერთი კომპანია არ ასრულებს სამუშაოს. კონტრაქტის დამატებით პირობებხ ხელი აგვისტოს ბოლოს მოვაწერეთ და როგორც გითხარით, ამ პერიოდში, ფიზიკური სამუშაოები არ შეგვისრულებია. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ გვაიძულა, დამატებით დაგვებანდებინა თანხა და ჭაბურღილი იმ სიღრმემდე გაგვეთხარა, სადაც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოებით დავადასტურეთ, რომ ნავთობი არ იქნებოდა. გამოდის, ენერგეტიკის სამინისტრომ ხელოვნური ბარიერები შეგვიქმნა. არ ვიცი, ასე რატომ მოხდა, მაგრამ მოსამზადებელი სამუშაოების დროს, დაინახეს, რომ პერსპექტივა მართლაც არსებობდა და როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, ეს საქმე ნელ-ნელა წაერთმიათ. ვფიქრობთ, ასეთი ქმედება უსამართლოა ჩვენი, როგორც ინვესტორი კომპანიის მიმართ“.**

ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩის მრჩეველმა საქართველოში, **ადილ ტერასონოვმა** აღნიშნა, რომ საელჩო დაინტერესებულია, რათა ყაზახური კომპანიები სათანადოდ იყვნენ დაცულნი საქართველოში: **„დაინტერესებულები ვართ, ყაზახურმა კომპანიებმა საკუთარი საქმიანობა გააფართოონ ქვეყანაში, ამიტომ იმ მეგობრული ურთიერთობებიდან გამომდინარე, რაც ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბდა, გვინდა, ეს პრობლემა აქ, საქართველოში გადაწყდეს. არ არსებობს პრობლემა, სადაც მხარეებმა კომპრომისს არ მიაღწიონ, ვფიქრობ, ეს კომპრომისი აქვე, თბილისში არსებობს, რათა ეს კონფლიქტი მოგვარდეს ადგილზე“.**

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ“, 10 თებერვალს, ყაზახური კომპანია „აკსაი ბიემსის“ საკითხზე ასეთი განცხადება გაავრცელა: **„სასამართლო პროცესის წინ, „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“, მიზანშეუწონლად მიიჩნევს რაიმე სახის კომენტარის გაკეთებას, რათა ეს სახელმწიფო უწყების მხრიდან, სასამართლოსთვის წინასწარი განწყობის შექმნის მცდელობად არ ჩაითვალოს. პროცესის დასრულების შემდეგ, ამ საქმესთან დაკავშირებით, სააგენტო მზადაა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს. „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ“ კომპანიასთან დაკავშირებული საქმის მასალები სასამართლოს გადასცა. პროცესზე, რომელიც 11 თებერვალს გაიმართა, „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“ მოპასუხე მხარედ იყო წარდგენილი“.**

# რუსულ-ქართულ ურთიერთობებს მშფოთვარე დღეები წინ უდგას

VANO SHLAMOV/AFP/GETTY IMAGES

FEELING THE SOCHI SPIRIT

## Georgia and Russia Play Nice

MICHAEL CECIRE

*Ever since the Georgian Dream coalition's upset election victory over Mikhail Saakashvili's UNM, Georgia-Russia relations have been on the mend. But don't expect the good feelings to last long after the final Olympic delegation leaves Sochi.*

ამერიკული გამოცემა The National Interest რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ მაიკლ ჩეჩირეს სტატიას აქვეყნებს.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა დაამარცხა, ქართულ-რუსულ ურთიერთობები გამოსწორდა, მაგრამ ნუ დაელოდებით, რომ კეთილი გრძნობები კიდევ დიდხანს გაგრძელდება მას შემდეგ, რაც სოჭს უკანასკნელი ოლიმპიური დელეგაცია დატოვებს.

**„მაშინ, როცა სპორტსმენები და სპეციალისტები სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან, მსოფლიოს დიდი ნაწილის ყურადღება მიმართულია ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან ტერორიზმის რეალური საფრთხისკენ, რუსეთის რეტროგრადული ანტი-გეი კანონმდებლობისკენ, მასობრივი კორუფციის სარწმუნო ბრალდებებისა და მეფის რუსეთის დროინდელი ეთნიკური წმენდის აჩრდილისკენ. ჰოდა, სოჭში სპორტული ღონისძიებებიც გაიმართება. ალბათ, ესაა ნიშანი, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიასთან სოჭის სიახლოვე, ფაქტობრივად, ყურადღების მიღმა დარჩა, მაგრამ ამისთვის სამართლიანი მიზეზიც არსებობს: დაუჯერებელია, მაგრამ საქართველომ და რუსეთმა გასული წელი ურთიერთობების დალაგებაში გაატარეს",** — წერს მაიკლ ჩეჩირე.

ამასთან, როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველოს ურჩი ტერიტორია აფხაზეთი სოჭის კაფეებიდან და ყინულის სასახლეებიდან 30 წუთის სავალზეა. მისივე თქმით, არც სოჭის პროპაგანდას უნდა დავუჯეროთ რუსეთის შავი ზღვის კურორტების ელიტურობის შესახებ, რადგან საბჭოთა მოქალაქეები შვებულებას საქართველოში ატარებდნენ და უმრავლესობა „საბჭოთა რივიერას", აფხაზეთს ირჩევდა.

როგორც მაიკლ ჩეჩირე წერს, აფხაზეთი დღეს რუსეთის დე ფაქტო პროტექტორატია, რომელიც რუსეთმა 2008 წელს საქართველოში შეჭრის შემდეგ აღიარა „სამხრეთ ოსეთთან" ერთად. მისივე თქმით, აფხაზეთში ათასობით რუსი სამხედროა განლაგებული, რომლებიც ახალაშენებულ ყაზარმებში არიან განთავსებულნი. აფხაზეთში თანდათან დაბრუნებას იწყებენ რუსი ტურისტები, თუმცა რეალური ეკონომიკა სრულად რუსულ სამხედროებზეა დამოკიდებული, რომლებიც მზადებას აფხაზეთის მთებში გადიან, პატრულირებენ სეპარატისტული რეგიონის „საზღვრებზე" და აგებენ ღობეებსა და მავთულხლართებს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" უკანონოდ დადგენილ საზღვრებზე.

**„ხუთი წლის შემდეგ, მას მერე, რაც რუსეთის ჯარებმა საქართველოს მცირერიცხოვანი და ცუდად მომზადებული არმია დაამარცხეს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები თანდათან უმჯობესდება. ეს ტენდენცია მას შემდეგ დაიწყო, რაც „ქართულმა ოცნებამ" 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ნაციონალურ მოძრაობაზე. „ქართულმა ოცნებამ" უარი თქვა წინამორბედის აგრესიულ ტონზე და რუსეთთან ფრთხილი, მაგრამ ნამდვილი დაახლოების პროგრამის გატარება დაიწყო დაძაბულობის შემცირების მცდელობითა და, რამდენადაც შესაძლებელია, ვაჭრობის გაფართოებით, ამავდროულად, ევროატლანტიკური მისწრაფებებისკენ სვლით",** — წერს მაიკლ ჩეჩირე.

ამასთან, ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ძალისხმევამ ბევრ მოლოდინს გადააჭარბა და მისი ცნობილი ღვინო და მინერალური წყალი რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა ისევე, როგორც მანდარინი და სხვა პროდუქტები. მაიკლ ჩეჩირე ასევე წერს, რომ რუსეთის დიდმა ბოსმა ვლადიმერ პუტინმა ასევე იმედები გამოთქვა, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე.

**„მაგრამ, ყოველივე ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები დათბა. ურთიერთობები ნამდვილად „ნორმალიზდა", როგორც ამ პროცესს უწოდებენ ხშირად ოპტიმისტურად. ამ ურთიერთობებში, უბრალოდ, დეტოქსიკაციის პროცესი დაიწყო. წარსული წლების აგრესიული რიტორიკა განიმუტხა და ორ სახელმწიფოს ახლა ერთმანეთთან ლაპარაკი შეუძლია, მაგრამ ეს ჯერაც არ არის მეგობრობა. საქართველოსა და რუსეთს არ აღუდგენიათ დიპლომატიური ურთიერთობები და მათ შორის კვლავაც მწვავე დაპირისპირებაა ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე, ორივე ქვეყნის ხალხს შესაძლოა ერთმანეთის მიმართ ურთიერთაღტაცების ღრმა და ლეგიტიმური გრძნობები აქვთ, მაგრამ ეს იგივე არ არის, რაც ნდობა",** — წერს მაიკლ ჩეჩირე.

ამასთან, ავტორი ხაზს უსვამს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის გეოპოლიტიკურ საკითხზე კიდევ უფრო დიდი დაპირისპირებაა. მისივე თქმით, რუსეთის სიჯიუტე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტზე, აუღებელი ციხესიმაგრეა.

**„შესაძლოა, საქართველომ და რუსეთმა იპოვეს ხერხები უთანხმოების დასარეგულირებლად, მაგრამ მათ შორის საგარეო პოლიტიკის გარშემო არსებული უთანხმოება ორმხრივ ურთიერთობებს ვერ გააუმჯობებს"**, — წერს მაიკლ ჩეჩირე და დასძენს, რომ 2012 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ" რიგი მნიშვნელოვანი ზომები გაატარა.

მისივე თქმით, რუსეთმა კი გახსნა საქართველოს პროდუქტებისთვის საკუთარი ბაზარი, მაგრამ ამავდროულად განაგრძობს ღობეების აღმართვას სეპარატისტული ტერიტორიების საზღვრებზე, რითიც მოსკოვი საქართველოს ახალი ხელისუფლების გეგმებსა და განზრახვებს ამოწმებს.

**„ამ დროისთვის სიტუაცია სავსებით გასაგებია: საქართველო საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს და მისი ტერიტორიული მთლიანობის საკითხით ურყევია. რა თქმა უნდა, საქართველო დაინტერესებულია რუსეთთან ურთიერთობის დალაგებით, მაგრამ არა საკუთარ პრინციპებზე უარის თქმის ხარჯზე"**, — წერს მაიკლ ჩეჩირე.

ამასთან, ავტორი აღნიშნავს, რომ დღესდღეობით თბილისი და მოსკოვი ორმხრივ ურთიერთობებში უპირატესობას პრაგმატიზმს ანიჭებენ და არა ანტიპათიას. მაგრამ ორი მეზობელი მაინც ვერ თანხმდება ძალიან მნიშვნელოვან და კრიტიკულ საკითხებში.

**„საქართველოს საკუთარი ტერიტორიების დაბრუნება და შიდა და გარეპოლიტიკის გატარება რუსეთის „მითითებების" გარეშე უნდა. რუსეთს კი სურს, ბოლო სიტყვა თქვას მოვლენებში, რომლებიც მიმდინარეობს მის ე.წ. ახლო საზღვარგარეთში, რომელშიც საქართველოც მოიაზრება. ეს მიზნები კი პრინციპულად შეუთავსებელია. ამ ეტაპზე, რუსულ-ქართული ურთიერთობები შესაძლოა მაღალ საფეხურზეა სოჭის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით, მაგრამ სამართლიანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ მშფოთვარე დღეები წინ უდგათ"**, — წერს მაიკლ ჩეჩირე.

***The National Interest***

## კნუდ ბარტელსი: „ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში ვიმყოფებით, ნატო-ს მხარდაჭერის მაჩვენებელია"

ნატო-ს სამხედრო კომიტეტი, რომელსაც კნუდ ბარტელსი ხელმძღვანელობს, თბილისში 15.00 საათისთვის ჩამოვიდა. სამხედრო კომიტეტის დელეგაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნები დახვდნენ. კნუდ ბარტელსმა ქართულ მხარეს მოწვევისათვის მადლობა გადაუხადა. ამასთან, მან აღნიშნა ქართველი სამხედროების წვლილი ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში.

**„კომიტეტის თავმჯდომარის რანგში კიდევ ერთხელ მინდოდა გამომეხატა ჩემი მაღალი შეფასება და დაფასება იმ შესაძლებლობისთვის, რომელიც მომეცა საქართველოში ჩამოსვლის და იმისთვის, რომ პირველი ხელიდან ან პირველი წყაროდან მიმეღო ინფორმაცია თქვენს თავდაცვის რეფორმებზე და იმ პროგრესზე, რომელსაც განიცდის საქართველოს შეიარაღებული ძალები. ეს გახლავთ ნატო-ს სამხედრო კომიტეტის პირველი ვიზიტი საქართველოში და ის ფაქტი, რომ დღეს ჩვენ აქ ვიმყოფებით, ნათლად გამოკვეთილი ნატო-ს მხარდაჭერის მაჩვენებელია იმ რეფორმების მიმართ, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს. მინდა, ასევე მადლიერება გამოვთქვა იმ წვლილისთვის, რომელიც საქართველოს შეაქვს ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ვიზიტი აღნიშნავს კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს ჩვენს სამხედრო თანამშრომლობის სფეროში"**, — განაცხადა კნუდ ბარტელსმა.

ნატო-ს პირველი სამხედრო პირი საქართველოს მთავრობის კანცელარიაში შეხვედრებს გამართავს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან. 12 თებერვალს დაგეგმილია სამხედრო კომიტეტის ხელმძღვანელის შეხვედრა საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან. შეხვედრის შემდეგ თავდაცვის სამინისტროში გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და ნატო-ს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი კნუდ ბარტელსი მედიის წარმომადგენლებისთვის პრესკონფერენციას გამართავენ. იმავე დღეს, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში", 28+1 ფორმატში, სამხედრო კომიტეტის სხდომა გაიმართება. სესიაზე საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ტრანსფორმაციის, ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში საქართველოს წვლილისა და ნატო-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილება. სხდომის შემდეგ, ნატო-ს წარმომადგენლებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი სამუშაო ლანჩზე უმასპინძლებს.

***„ინტერპრესნიუსი"***

## დავით ზურაბიშვილი: „ეკლესია ყოველთვის იყო დასაყრდენი რუსული პოლიტიკისთვის"

უმრავლესობის ერთ-ერთი წარმომადგენლის, დავით ზურაბიშვილის განცხადებით ეკლესია ყოველთვის იყო დასაყრდენი რუსული პოლიტიკისთვის.

როგორც ზურაბიშვილმა ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში საფრთხეების შეფასებისას აღნიშნა, რუსეთი ყოველთვის იყენებდა და მომავალშიც გამოიყენებს ეკლესიას, როგორც მნიშვნელოვან იარაღს.

**„რუსეთი ყოველთვის იყენებდა ეკლესიას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს. რუსეთის ეკლესიაში უამრავი ღირსეული ადამიანია, ბევრი ღირსეული სასულიერო პირი აპროტესტებდა ამ ყველაფერს. ჩვენ ამ ყველაფერს მთელი მე-19 საუკუნის ისტორია გვეუბნება. ამ ფაქტების გამოყენების მცდელობა იქნება მაგრამ, იმედი მაქვს რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ამ გამოწვევას კარგად და ღირსეულად უპასუხებს"**, — აცხადებს ზურაბიშვილი.

***„ჯი-ეიჩ-ენი"***

## „სითი პარკს“ ავტომობილების საჯარიმოზე კანონდარღვევით გადაყვანასა და ტექნიკური ზედამხედველობის ნორმების დარღვევაში ადანაშაულებენ

უფლებადამცველთა გართიანება „სითი პარკს“ ავტომობილების საჯარიმოზე კანონდარღვევით გადაყვანასა და ტექნიკური ზედამხედველობის ნორმების დარღვევაში ადანაშაულებს.

როგორც ტექნიკური ექსპერტი **გიორგი ნიკოლაიშვილი** აცხადებს, „სითი პარკის" ის ამწესაშუალებები, რომლებიც მანქანების საჯარიმოზე გადასაყვანად გამოიყენება, არ არის აყვანილი ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურში, როგორც ამწეები, არაა შემოწმებული მათი ჰიდროსისტემები, მზიდი ლითონკონსტრუქციები და ასაწევი ღვედები.

**„ეს ყოველივე იწვევს იმას, რომ მანქანების საჯარიმოზე გადაყვანის პროცესში ადგილი აქვს ავტომობილების არასწორ ტრანსპორტირებას მანქანის ძარაზე აყვანისას, რის შედეგადაც ზიანდება სიჩქარეთა კოლოფი და სავალი ნაწილები. ამასთან, „სითი პარკის“ იმ თანამშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ ავტომობილების აწევასა და ევაკუაციას, არ გააჩნიათ სპეციალური მომზადება და არ აქვთ ავტოამწის მემანქანის მოწმობები“,** — განაცხადა ექსპერტმა.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, **„საქართველოს კანონით პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-4 თავის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ასევე მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა ხორციელდებოდეს პერიოდული ინსპექტირება და შემოწმება ამწემოწყობილობისა, რასაც უწყებრივად ახორციელებს ეკონომიკის სამინისტროში არსებული ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური, თუმცა „სითი პარკის“ ავტომობილები ამგვარ ინსპექტირებასა და შემოწმებას არ გადიან“.**

უფლებადამცველთა გაერთიანება მოუწოდებს ეკონომიკის სამინისტროს, შეამოწმოს „სითი პარკის“ ის ამწე მანიპულატორები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ავტომობილების საჯარიმოზე გადაყვანა, რათა არ მოხდეს ავტომობილების დაზიანება მათი საჯარიმოზე გადაყვანის დროს.

*„გეონიუს.გე“*

## საქართველო ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისთვის დახურულ ტერიტორიად ცხადდება

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, გიგლა აგულაშვილმა ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ კანონპროექტზე ისაუბრა და განაცხადა, საქართველო ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისთვის დახურულ ტერიტორიად ცხადდება და ქვეყნის ტერიტორიაზე მისი გარემოში ინტროდუქცია იკრძალება.

**„ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით შექმნილი თესლი საქართველოში თავისუფლად აღარ შემოვა, შემოსვლის შემთხვევაში კი, მისი ინტროდუქცია ანუ ნიადაგში შეტანა დახურულ სივრცეში მოხდება, რაც ლიცენზირებადი საქმიანობა იქნება. ამ ცვლილებებს კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტშია წარდგენილი. გენმოდიფიცირებული თესლი არ შემოვა ქვეყანაში, გენმოდიფიცირებული თესლისგან წარმოებული პროდუქცია კი შემოვა. ჩვენ მის შემოსვლას ვერ ავკრძალავთ“,** — განაცხადა აგულაშვილმა.

მისი თქმით, საქართველო ცოცხალი გემოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებით შექმნილი თესლისთვის დახურულ ზონად გამოცხადდება ანუ გემოდიფიცირებული სათესლე ნედლეული საქართველოში აღარ შემოვა.

**„აღნიშნული კანონის მიღებით, იქმნება შესაძლებლობა, ბევრად სასარგებლო და უვნებელი საკვები პროდუქტი მიიღოს საზოგადოებამ, რაც ნაკლებად ავნებს მათ ჯანმრთელობას. ხშირად საკვებისგან დაზიანებული ჯანმრთელობის მკურნალობა ბევრად ძვირი ჯდება, აღნიშნული კანონი კი ამ საფრთხეებს უფრო შეამცირებს“,** — აღნიშნა აგულაშვილმა. მისი თქმით, ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებული საქმიანობა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანიც იქნება.

*„პია“*

# „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვია“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვია. რთული ეკოლოგიური მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, მთავრობა გამოსავალს ეძებს. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.**

გამონაბოლქვის წილი ქვეყნის მთლიან გაფრქვევებში, დაახლოებით, 71%-ია. ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით, ყველაზე მწვავე მდგომარეობა თბილისშია, სადაც ქვეყნის მოსახლეობის, დაახლოებით, 1/3 ცხოვრობს და მთლიანი სატრანსპორტო საშუალებების 40%-ია თავმოყრილი. მათი წილი ქალაქის დაბინძურებაში 95%-ზე მეტია.

**„დამაბინძურებელი ნივთიერებები, რომლებიც გამონაბოლქვ აირთან ერთად ხვდება ატმოსფეროში, რეალურ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელიც ამ მავნე ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. ავტოტრანსპორტის მიერ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების მოცულობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ავტომობილების ტექნიკური გაუმართობაა“,** — აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, საქართველოში საავტომობილო პარკი მოძველებულია. 2012 წლის მონაცემებით, მანქანების 91% 10 წელზე მეტი ასაკისაა და კონტროლის არარსებობის პირობებში, სავარაუდოდ, უმრავლესობა ტექნიკურად გაუმართავია.

**„გამონაბოლქვი აირის მოცულობა და ტოქსიკურობა კი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ძრავის კონსტრუქციაზე, ტექნიკურ მდგომარეობასა და მუშაობის რეჟიმზე. მაგალითად, დიზელის ძრავის გაუმართაობის შემთხვევაში, ჭვარტლის წარმოქმნა შეიძლება, 20-ჯერ გაიზარდოს, კარბურატორის გაუმართაობის შემთხვევაში კი, გამონაბოლქვ აირში ნახშირბადის ოქსიდის რაოდენობა 2-10-ჯერ იმატებს“.**

ამასთან, მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან, რომლებიც საავტომობილო პარკის, დაახლოებით, 80%-ია, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეგულირება საქართველოში ბოლო 9 წლის განმავლობაში არ ხორციელდება, რადგან 2004 წლიდან მათთვის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება ნებაყოფლობითია.

სამინისტროში მიიჩნევენ, რომ სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო და, ამავე დროს, ეფექტური პერიოდული ტექდათვალიერების (ეკოლოგიურ პარამეტრთა ჩათვლით) ამოქმედებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არსებული საავტომობილო პარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და შესაბამისად, მავნე გამონაბოლქვის შემცირება:

**„სავალდებულო პერიოდული ტექდათვალიერების ამოქმედება ხელს შეუწყობს ავტოპარკის შესახებ საჭირო საწყისი ინფორმაციის (ავტომობილის ტიპი, ძრავის კუბატურა, ასაკი, გარბენი, მოძრაობის საშუალო სიჩქარე და ა.შ) უზრუნველყოფას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ავტოტრანსპორტიდან გაფრქვევების თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებით გაანგარიშება და დაბინძურების უფრო რეალური სურათის მიღება“.**

გარემოსდამცველები და მოქალაქეები დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების კატასტროფულ მაჩვენებელზე საუბრობენ. ისინი ამტკიცებენ, რომ თბილისის ჰაერში მტვრისა და მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია დასაშვები ნორმის მაქსიმალურ მაჩვენებელს სამჯერ აღემატება. ეს ყველაფერი კი ალერგიისა და მძიმე სნეულებებით დაავადების რისკს ზრდის. მიზეზი ბევრი ავტომობილი და უხარისხო საწვავია.

ჩვენთან საუბრისას, თბილისელი **მათე რუსიშვილი**, მართლაც, საგანგაშო მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას: **„საქართველოში, სადაც გაიხედავ, ყველგან ხე იზრდება და თითქოს, ჰაერიც, მეტ-ნაკლებად, სუფთა უნდა გვქონდეს. მაგრამ ხშირად, თბილისს რომ გადმოვხედავ, სმოგის გამო, 7-8 კილომეტრში უკვე არაფერი ჩანს. დაახლოებით, წყნეთის სიმაღლემდე თეთრი ღრუბელია ჩამომდგარი. თუ არ დამავიწყდა, მერე ერთი-ორი სურათიც უნდა გადავიღო, რომ კარგად გამოჩნდეს“.**

**გიორგი სიხარულიძე** კი სინანულით ამბობს, რომ „მხოლოდ ქარიან ამინდში თუ შეიძლება დედაქალაქში სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა, თორემ სხვა დროს, 24 საათი საწამლავს ვისრუტავთ“: **„ასე ხდება, როცა ტექნიკურ შემოწმებას აუქმებ. მანქანა აღარ დარჩა, რომელსაც ფილტრი უყენია. ხომ თქვეს, შემოვიღებთო და აქამდე რამ შეაშინა? სასწრაფოდ დააბრუნონ ტექშემოწმება და მოითხოვონ, ყველა მანქანას ეყენოს ფილტრი, როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია. ბოლოს და ბოლოს, კენია ვართ თუ ნიგერია?“**

**ნიკო გალდავა**: **„დიდი ხანია, ეს პრობლემა მწვავედ დგას. აქ ორი ფაქტორია — გეორგაფიული განლაგება, ქალაქი, ფაქტობრივად, ქვაბში მდებარეობს და მერე — არანაირი კონტროლი. ჩვენ, მთავარია, ჭიქა ავწიოთ მედგრად და მაღალფარდოვანი სიტყვების რახარუხი გვქონდეს, გენეტიკური დარღვევების პროცენტი რომ დიდია, ეს ვის აინტერესებს“.**

ეკოლოგი და უფლებადამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი** აცხადებს, რომ მთავარი პრობლემა უხარისხო საწვავია, რომელიც, ძირითადად, აზერბაიჯანიდან შემოდის და მძიმე მეტალებითაა დაბინძურებული. მისივე თქმით, ტექნიკური დათვალიერების შემოღება გარკვეულ შედეგს მოიტანს, მაგრამ შემოტანილი საწვავის ხარისხის კონტროლის გარეშე, სასურველ რეალობას ვერ მივიღებთ:

**„ქალაქის ჰაერი უკიდურესად დაბინძურებულია და მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ჯერ კიდევ 2003 წელს, ბრიტანულმა ორგანიზაციამ თბილისი ევროპის ყველაზე დაბინძურებულ ქალაქად გამოაცხადა. წლების განმავლობაში, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, საიდანაც მხოლოდ ტექდათვალიერების შემოღებით ვერ გამოვალთ. ხელისუფლება წინასაარჩევნო დაპირებებს ამ სფეროშიც ვერ ართმევს თავს, ვგულისხმობ საწვავზე ფასების დაპირებულ დაკლებასა და ხარისხის გაუმჯობესებას. როგორც ჩანს, ამ სფეროში კორუფციულ სქემებს ახალი მთავრობის პირობებშიც ვერ ელევიან“.**

ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, რომ მეორე პრობლემა მწვანე ნარგავების განადგურებაა. მისივე თქმით, აქაც ძველი და ახალი ხელისუფლების ოლიგარქიული ინტერესები იკვეთება და მწვანე ზოლების გაქრობა ჩვეული ტემპით გრძელდება:

**„ამ სფეროში წინა ხელისუფლების დანაშაულებრივ ნაბიჯებზე რამდენი საჩივარი შევიტანეთ და არც ერთს რეალური მსვლელობაც კი არ მოჰყოლია. პირიქით, პროცესი ახლა ვაკის პარკში გაგრძელდა და პასუხისგამცემი არავინაა. ჩვენ აქციები მოვაწყვეთ და ისევ მე დამაპატიმრეს, სასამართლომ ჯარიმა დამაკისრა. ამ დროს, მერიის არც ერთი სამსახურის პასუხისმგებლობა არ დამდგარა, მათ უკანონო ნაბიჯებთან დაკავშირებით. 2002 წლიდან, დედაქალაქის პარკებსა და ბაღებში მშენებლობაზე ნებართვის გაცემა აკრძალული იყო. ამის მიუხედავად, ამ პერიოდში 150-მდე მწვანე ზოლი განადგურდა. დღემდე პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ, ამიტომ ახალ და ძველ ხელისუფლებას დანაშაულებრივ გარიგებაში ბრალს ვდებ. ჩვენ არ გავჩერდებით და ვაკის პარკის გადასარჩენად ბრძოლას ვაგრძელებთ. აქვე გარემოს დაცვის სამინისტროს უმოქმედობას აღვნიშნავ, მათ რომ ემოქმედათ, ასეთი რეალობის წინაშე არ დავდგებოდით“.**

და ბოლოს, გაერო-ს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ჰაერის დაბინძურებას ადამიანებში კიბოს გამომწვევ მთავარ მიზეზად მიიჩნევს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან არსებული, კიბოს კვლევის სააგენტოს ხელმძღვანელი კურტ შტრაიფი როგორც აღნიშნავს, „ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ, დაბინძურებულია კიბოს გამომწვევი ნივთიერებებით და დიდი საფრთხეა ჯანმრთელობისთვის“, ასე რომ, საქართველოში გადაწყვეტილებების მიმღებთ, არსებული რეალობის გათვალისწინება აუცილებლად მოუწევთ.

# რატომ დაანგრიეს დედა პარასკევას კელია

გიორგი იაშვილი

**2012 წელს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მამა გაბრიელი წმინდანად შერაცხა. ამ მოვლენას ქართულ მრევლში დიდი სიხარული მოჰყვა, რადგან მამა გაბრიელის სახელთან ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში იყო არაერთი სასწაული დაკავშირებული, გარდაცვალების შემდეგ კი სალოცავად მისი საფლავი იქცა. ამის მიუხედავად, აბსოლუტურად ალოგიკური იყო ის, რაც გასული წლის დამლევს მოხდა. დედა პარასკევამ, რომელიც მამა გაბრიელის საფლავს აგერ უკვე 18 წელიწადია უვლის, განაცხადა, რომ საფლავიდან ნიშანი მიიღო, ხილვა ჰქონდა, რომელშიც ენიშნა, რომ წმინდა მამა ყველას, ვინც შობამდე მის საფლავთან მივიდოდა და მხურვალედ ილოცებდა, ორ სურვილს შეუსრულებდა. ეს განცხადება ტელევიზიით გავიდა და დაიწყო ის, რამაც საპატრიარქოც კი გააოგნა. მცხეთისკენ მომლოცველთა იმხელა ნაკადი დაიძრა, რომ სახელმწიფოს ჩარევა გახდა საჭირო. თუ საგზაო მოძრაობას საპატრულო პოლიცია არეგულირებდა, საფლავთან მოზღვავებულ ხალხს საჯარისო ნაწილები აკავებდნენ და წესრიგის დაცვას ცდილობდნენ...**

**„მცხეთას არის მომდგარი სრულიად ქართველობა. ძალიან რთული სანახავია, ამდენი ხალხი 2 სურვილით რომ გარბის წმინდანის საფლავზე. ესაა მართლმადიდებლობის და თავად მამა გაბრიელის შეურაცხყოფა. მამა გაბრიელი ამხელდა ხოლმე მსგავს უგნურებას და დღეს მისი სახელით ხდება ასეთი უმსგავსობა. თურმე ასრულდება მხოლოდ ორი სურვილი, რა შუაშია ორი ან სამი?! ასეთი რამ მართლმადიდებლურ ეკლესიაში არ არსებობს. მე იმ ხალხზე კი არ ვარ გაბრაზებული, ვინც საფლავთან მიდის, არამედ იმ ადამიანებზე, ვისაც ხელეწიფება, რომ ეს შეაჩეროს და ხმას არ იღებენ ამ სისულელეებზე“,** — ეს განცხადება ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, მამა გიორგი თევდორაშვილმა გააკეთა.

მალე გავრცელდა საპატრიარქოს ოფიციალური განცხადება, რომელიც პირდაპირ ემიჯნებოდა დედა პარასკევას სიტყვებს და უფრო მეტიც, იმას ამტკიცებდა, რომ დედაოს არანაირი ხილვა და მინიშნება არ ჰქონია. საპატრიარქოს განცხადების შემდეგ, უკვე დედა პარასკევამაც აღიარა, რომ მას, საერთოდ, არანაირი ხილვა არ ჰქონია და მისი სიტყვების ინტერპრეტაცია მოხდა, თუმცა...

2012 წელს გამართულ სინოდის სხდომაზე, რომელზეც მამა გაბრიელი წმინდანად აღიარეს, თურმე ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი ჩანაწერიც გაკეთდა. ახლახან გაირკვა, რომ მამა გაბრიელის საფლავის გათხრა და მისი გადასვენება 2 წლის წინ გადაწყვეტილა, თუმცა რატომ არ ამბობდნენ აქამდე, ვერ გეტყვით.

**„მამა გაბრიელის გადასვენება სინოდის განჩინებაში წერია. ეს მოხდა 2012 წელს, როდესაც მამა გაბრიელის კანონიზაცია მოხდა, სინოდის განჩინებაში სიტყვასიტყვით წერია, რომ მოხდება მისი კანონიზაცია და გადასვენება ფერისცვალების ტაძარში“,** — ეს განცხადება მამა მიქაელ ბოტკოველმა გააკეთა.

შედეგად, პირველ რიგში, ის კელია მოანგრიეს, რომელშიც დედა პარასკევა ცხოვრობდა და 18 წელს საფლავს უვლიდა. სავარაუდოდ, ერთ თვეში მამა გაბრიელსაც გადაასვენებენ და... ჩვენი ინფორმაციით, მისი საფლავის მოვლას საკუთარ თავზე საპატრიარქო აიღებს და დედა პარასკევას ამის უფლებას აღარ მისცემენ. მიზეზი საახალწლოდ დატრიალებული ამბებია და არამარტო ეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, მცხეთაში, მამა გაბრიელის საფლავზე მისულმა მრევლმა, ჯამში, 4 მილიონი ლარის სანთელი შეიძინა. სანთლები დედაოების მიერ იყო დამზადებული და ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ თუ არა წინასწარი ვარაუდი იმისა, რომ ბევრი ხალხი მივიდოდა, 4 მილიონის ღირებულების სანთლის დამზადებას ვერავინ გარისკავდა. რა გამოდის? ვიღაცამ იცოდა, რომ კონკრეტულ დღეს დიდი რაოდენობით სანთელი იქნებოდა საჭირო და ის კონკრეტული დღე სწორედ დედა პარასკევას განცხადებას დაემთხვა. ახლა იმის მტკიცებას არ ვაპირებთ, რომ ვიღაც ერთგვარ ბიზნესგეგმას წერდა და მერე ახორციელებდა, მაგრამ კითხვის ნიშნები რომ არსებობს, საპატრიარქოს განცხადებიდანაც ჩანს. რეალურად, კელიის დანგრევით დაწყებული წმინდა ნაწილების გადასვენების პრეცედენტი არ გვახსოვს და ეჭვი გვაქვს, არც არასოდეს მომხდარა.

მეორეს მხრივ, კარგი იქნება, თუ სინოდის გადაწყვეტილება საჯარო გახდება ხოლმე. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ იმას, რომ ყველა გადაწყვეტილება გაზეთის ფურცლებზე მოხვდეს, მაგრამ ის, რომ, თურმე, მამა გაბრიელის საფლავის გათხრა იგეგმებოდა, არც საიდუმლო უნდა იყოს და არც დასამალი. სხვა შემთხვევაში, ასეთი კითხვისნიშნები სულ იქნება და ვინ იცის, მომავალში, ეგებ, პასუხების ძებნაც თავად დავიწყოთ.

# ოდიშარია, საყდრისის გამო მიზანდარი გაათავისუფლა

**კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ მისი მოადგილის — მარინე მიზანდარის, სამსახურეობრივი დაუმორჩილებლობის მოტივით, გადადგომის მოთხოვნით მიმართა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, მარინე მიზანდარმა „ნეტგაზეთს“ დაუდასტურა, რომ გურამ ოდიშარიას მისი გადადგომა სურს და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საყდრისის არქეოლოგიური ობიექტის გარშემო განვითარებული მოვლენებია.**

მიზანდარის თქმით, 27 იანვარს კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე საყდრისისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის საკითხი გაიტანა განსახილველად. საბჭომ მინისტრს დადებითი რეკომენდაციით მიმართა. სწორედ ეს გახდა მინისტრსა და მოადგილეს შორის დაპირისპირების მიზეზი: **„ერთ-ერთი მთავარი ეგ იყო. მაგრამ ზოგადად, სხვა საკითხებში, კერძოდ, მართვასთან დაკავშირებულ საკითხებშიც იყო რაღაც უთანხმოება. მართვის პრობლემებია სამინისტროში, მაგრამ ყველაფერი, მეტწილად, საყდრისის საკითხთანაა დაკავშირებული — მაგალითად, ის, რომ სტრატეგიულ საბჭოზე განსახილველად გავიტანე სტატუსის მინიჭების საკითხი, მიმაჩნია, რომ ეს ჩემი უპირველესი ვალდებულებაა, რადგან ამაში ვიღებ ხელფასს და ჩემი კულტურული მემკვიდრეობა უნდა დავიცვა ყველა ლეგალური საშუალებით“.**

მიზანდარი მიიჩნევს, რომ კულტურის სამინისტროს უფრო მეტად უნდა ეაქტიურა საყდრისის არქეოლოგიური ობიექტის დაცვისთვის და უნდა დაერწმუნებინა საქართველოს მთავრობის სხვა წევრები ამ ძეგლის მნიშვნელობაში: **„ყოველთვის მიმაჩნდა და დღესაც არ შემიცვლია დამოკიდებულება, რომ საჭირო იყო უფრო მეტი აქტიურობა და განმარტება. კულტურის სამინისტროს, როგორც დარგობივ სამინისტროს, ბევრად მეტის გაკეთება შეეძლო, ასეთ კრიზისულ და სავალალო მდგომარეობამდე რომ არ მისულიყო. თუნდაც ფოტოფიქსაცია რომ ვერ მოხერხდა, მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დიდი სისუსტეა. უფრო მეტი ქმედება იყო საჭირო, რომ ეს ობიექტი სათანადოდ იყოს დაცული, თუნდაც ვიცოდეთ, რა სურათია. დღეს ვერ შევაღწიეთ, მონიტორინგის ჯგუფი სამჯერ წავიდა და არ შეუშვეს. ეს დარჩა რეაგირების გარეშე სამინისტროს მხრიდან“.**

მისივე ინფორმაციით, მინისტრს წარედგინა სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს რეკომენდაციის ოქმი და გამზადებულია ტექსტი საყდრისის არქეოლოგიური ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით. „ნეტგაზეთის“ კითხვაზე, სურს თუ არა მინისტრს, საყდრისს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აღუდგინოს, მიზანდარი ამბობს, რომ ეს გაურკვეველია.

**„მინისტრს წარედგინა გამზადებული ოქმი, ტექსტი და ყველაფერი, ფაქტობრივად, მზადაა იმისთვის, რომ პროცედურულად სწორად მიენიჭოს ძეგლის სტატუსი. საყდრისს ძეგლის სტატუსი მოეხსნა არა იმიტომ, რომ არ იმსახურებდა, არამედ იმიტომ, რომ პროცედურული დარღვევებით იყო მინიჭებული. ეს არ ნიშნავს, რომ დღესვე არ შეიძლებოდა მინიჭებოდა“,** — განმარტა მიზანდარმა და დასძინა, რომ დაკავებული თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს, — **„მიმაჩნია, რომ ჩემს ადგილას ვარ იმიტომ, რომ ორ ისეთ სფეროს ვკურირებ, რომელშიც დიდი გამოცდილება მაქვს. კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი გახლავართ, ხელოვნების ისტორიკოსი ვარ, ეს ჩემი სფეროა. კიდევ ვკურირებ საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტს. საერთაშორისო სფეროში ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს და ეს ორი ისეთი სფეროა, რომელსაც შემიძლია წესიერად გავუძღვე. თვითონ არ ვაპირებ წასვლას და თუ მომხსნიან, ეს პრემიერის გადასაწყვეტია“.**

10 თებერვალს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კულტურის მინისტრის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მარინე მიზანდარი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.

*„ნეტგაზეთი“*

# აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კონგრესმენებმა საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების თხოვნით მიმართეს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯონ ქერის, ნატოს 2014 სამიტთან დაკავშირებით, 42 კონგრესმენი ღია წერილით მიმართავს. წერილში ნათქვამია, რომ კონგრესმენები მიესალმებიან ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევას, ნატოს 2014 წლის სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების საკითხი პრიორიტეტად აქციოს:

**„კონგრესმენები მოუწოდებენ აშშ-ს სახელმწიფო მდივანს მჭიდრო თანამშრომლობა გააგრძელოს ნატოს ასპირანტ ქვეყნებთან, კერძოდ, საქართველოსთან, მაკედონიასთან, მონტენეგროსა და ბოსნია ჰერცეგოვინასთან, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან, რომლებსაც აშშ-სა და ნატოსთან ახლო ურთიერთობების დამყარება სურთ. ჩვენ მოვითხოვთ მიმდინარე წლის სამიტზე მონტენეგროსა და მაკედონიის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მხარდაჭერას, ბოსნია ჰერცეგოვინისთვის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიღწეული პროგრესის ხელშეწყობას და საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭებას“,** — ნათქვამია კონგრესმენების წერილში.

კონგრესმენების მოსაზრებით, ცივი ომის დასრულების შემდეგ, 25 წლის განმავლობაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის არაერთმა ქვეყანამ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება, აშშ-სა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება. სხვადასხვა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, რომელიც ხშირად ნატოს ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა — ჩატარდა რეფორმები და განხორციელდა ინიციატივები, რომლებმაც ხელი შეუწყო მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას, ანგარიშვალდებული მმართველობის შექმნასა და კანონის უზენაესობას მილიონი ევროპელისთვის, ხოლო ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, ნატო, როგორც ალიანსი და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, რეგიონში სტაბილურობის გარანტი გახდა.

**„ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ასპირანტი ქვეყნების აღნიშნული ჯგუფის ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას და გააძლიერებს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას რეგიონში“,** — აცხადებენ ამერიკელი კონგრესმენები.

მათი მოსაზრებით, უკრაინაში განვითარებული მოვლენები მიანიშნებს, რომ შესაძლოა, რეგიონის ქვეყნებზე გარეძალების მხრიდან მოხდეს ძლიერი ზეწოლა.

**„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მოკავშირეებმა მიაღწიეს უკვე იმ კრიტიკულ წერტილს, როდესაც აუცილებელია იმ მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც უზრუნველყოფს ნატოს მომავალ მაღალ სიცოცხლისუნარიანობას. ვუახლოვდებით რა 2014 წლის ნატოს სამიტს, ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ თქვენთან, რათა მხარი დავუჭიროთ მონტენეგროსა და მაკედონიის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას და ხელი შევუწყოთ ბოსნია ჰერცეგოვინასა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების გეგმებს, მათთვის წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების გზით. ასევე, მზად ვართ, ვიმუშაოთ თქვენთან ერთად, რათა უზრუნველვყოთ რეგიონის სხვა ქვეყნების ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან უფრო მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება და შემდგომში მათი ალიანსში გაწევრიანება“,** — ნათქვამია კონგრესმენების წერილში.

*„აფხაზეთის ხმა“*

# პრემიერ-მინისტრის ინტერვიუ France24-თან

**ირაკლი ღარიბაშვილმა ინტერვიუში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის, ქვეყნის შიდა პოლიტიკისა და არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრა.**

**— თქვენ იყავით ამ კვირას ბრიუსელში, რომ გემსჯელათ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე ევროკავშირთან, ე.წ. ასოცირების ხელშეკრულებაზე. რატომაა ეს გარიგება ასეთი მნიშვნელოვანი საქართველოსათვის?**

— გმადლობ, კარგი კითხვაა. როგორც იცით, ვილნიუსის სამიტზე ერთი თვის წინ, მოვახდინეთ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება, DCFTA-ს ჩათვლით. როდესაც ხელს მოვაწერთ, ეს გაგვიხსნის და მოგვცემს უზარმაზარ შესაძლებლობებს. როგორც იცით, ევროპაში ინტეგრირების პროცესი შეუქცევადი გავხადეთ და მინდა, გითხრათ, რომ რამდენიმე კვირის წინ ჩავატარეთ საზოგადოებრივი გამოკითხვა, რომელმაც დაგვანახა, რომ საქართველოს მოსახლეობის 95%-ზე მეტი მხარს უჭერს ევროპული ინტეგრაციას.

**— და თქვენი საბოლოო მიზანი, რასაკვირველია, ევროკავშირის წევრობაა...**

— ზუსტადაც, ეს არის ჩვენი საბოლოო მიზანი — მივაღწიოთ იმ დონეს, რომ გავხდეთ ევროკავშირის წევრი.

**— შარშან, როგორც იცით, რუსეთმა ბრიუსელსა და უკრაინას შორის ანალოგიური ხელშეკრულება დაბლოკა, საქართველოსთან მიმართებაში, მოსკოვიდან რაიმე ზეწოლას მოელით?**

— პირველ რიგში, მინდა, რამდენიმე სიტყვა გითხრათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ: 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ, ახალმა მთავრობამ რუსეთის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა. შევეცადეთ ჩვენი ურთიერთობების ნორმალიზებას მათთან — თანდათან, რუსეთმა თავის ბაზრის გახსნა დაიწყო და რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქტის გაყიდვა შევძელით, მაგრამ, ამავე დროს, წავაწყდით მთელ რიგ პროვოკაციებსა და პრობლემებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, ვგულისხმობ იმას, რომ რუსეთმა მავთულხლართების, ღობეებისა და ხელოვნური ბარიერების აღმართვა დაიწყო, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს უამრავ პრობლემას უქმნის.

**— თქვით, რომ ესაა პროვოკაციები რუსეთის მხრიდან...**

— დიახ, იმას ვგულისხმობ, რომ, როდესაც 45 კმ-იანი მავთულხლართების ღობეები აღმართეს, ზოგიერთი სახლი და ადამიანი ამ ღობეების მიღმა დარჩა, რამაც ძალიან ბევრი პრობლემა წარმოშვა.

**— ამგვარად, ხომ არ ხვდებით, რომ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება, სინამდვილეში, გაცილებით რთულია, ვიდრე მაშინ ფიქრობდით?**

— ვფიქრობ, ჩვენ მივაღწიეთ გარკვეულ გაუმჯობესებას, ვგულისხმობ სატრანსპორტო კომუნიკაციას, ამას შინაურ ურთიერთობას ვუწოდებდი, მაგრამ ჩვენს კონსტრუქციულ ნაბიჯებსა და ძალისხმევას პოლიტიკურ მხარეზე ზეგავლენა არ მოუხდენია. შემიძლია ვთქვა, რომ ახალი მთავრობა ძალიან კონსტრუქციულია თავის ნაბიჯებში.

**— ამბობთ, რომ კრემლს თქვენს ქვეყანასთან ურთიერთობის ნორმალიზება არ აინტერესებს?**

— ასე ვერ ვიტყოდი. ჩვენც მოვისმინეთ გარკვეული პოზიტიური განცხადებები რუსეთის ლიდერებისგან და ვნახეთ პოზიტიური ნიშნები, მაგრამ, იმავდროულად, ვამბობ, რომ ეს ყველაფერი, მართლაც, კონფლიქტში მოდის ჩვენს კონსტრუქციულ ნაბიჯებთან, რასაც ისინი საოკუპაციო ზონაში აკეთებენ.

**— რაც შეეხება ვითარებას საქართველოს ამ ორ სეპარატისტულ რესპუბლიკაში — აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“, თქვენი ქვეყანა კვლავაც მიიჩნევს თავის ტერიტორიის ნაწილად, რუსეთი კი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქვეყანას შორის, რომელიც მათ დამოუკიდებლობას მხარს უჭერს, ამჟამად, ფინანსურად და სამხედრო ძალით ეხმარება... ეს გამოუვალ მდგომარეობას ჰგავს, ეს გაყინული კონფლიქტია...**

— მართალია და, ამიტომაც, როდესაც ვთქვი, რომ ვდგამთ კონსტრუქციულ ნაბიჯებს, თუმცა ეს პოლიტიკურ მხარეზე გავლენას არ ახდენს, ზუსტად ეს ვიგულისხმე იმიტომ, რომ საქმე გვაქვს ერთადერთ დიდ პრობლემასთან, რომელიც უნდა მოგვარდეს. ესაა ოკუპირებული ტერიტორიები და ვსაუბრობთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებზე.

**— და თქვენი ქვეყანა რა გამოსავალს ეძებს?**

— ჩვენ გვჭირდება ამის მოგვარება, გამოსავლის პოვნა და, რასაკვირველია, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ურთიერთობას ევროპასთან, აშშ-სთან... ვფიქრობ, ევროკავშირის ჩართულობა ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია..

**— ევროკავშირი დიდადაა მოსურნე, გაურიგდეს საქართველოს. ეს დაკავშირებულია კიდეც რამდენიმე წარმატებულ ისტორიასთან ამ რეგიონში, მაგრამ თქვენი მთავრობის დროსაც ისევე, როგორც წინა ხელისუფლებაში, ერთ-ერთი ყველაზე დიდი შფოთვის საგანი მართლმსაჯულებაა. შარშან, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილი კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს მაშინ, როდესაც ათეული ყოფილი ოფიციალური პირი, ასევე დაპატიმრებული იყო მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ თქვენმა კოალიციამ ხელისუფლებაში ხანგრძლივად მყოფი საა-კაშვილის პარტია დაამარცხა. ნაციონალური მოძრაობა, როგორც ოპოზიცია, ამბობს, რომ წინა ადმინისტრაციის წინააღმდეგ „ჯადოქრებზე ნადირობა“ გამოაცხადეთ.**

— როგორც იცით, ოპოზიციას ყველაფრის თქმა შეუძლია, მაგრამ რეალობა ესაა, სიმართლე უნდა ვთქვათ და ჩემი პრინციპი ძალზე მარტივია: კანონზე მაღლა არავინ დგას. ეს ძალზე პრინციპულია; ასევე გამჭვირვალობა, სათანადო სამართლებრივი პროცედურა და სასამართლოს უზენაესობა — ესაა ჩვენი ძირითადი პრინციპები. აქამდე, წარსულში მართლმსაჯულების სისტემა, სასამართლო სისტემა აბსოლუტურად დამოკიდებული, როდესაც პირველი ნაბიჯები გადავდგით, სასამართლოს ლიბერალიზაცია მოვახდინეთ და ახლა მოსამართლეები და სასამართლო აბსოლუტურად დამოუკიდებელი და გამჭვირვალე გახდა.

**— რაც შეეხება ყოფილი პრემიერ მინისტრს?**

— ყველა სასამართლო სხდომა აბსოლუტურად გამჭვირვალეა. ბევრი დამკვირვებელი ესწრებოდა, მედია...

**— მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი ძირითადი ოპოზიციური პარტიის ამოძირკვაა იმიტომ, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ციხეშია სასამართლოს გარეშე.**

— ეს მცდარი აღქმაა... როდესაც ამბობენ, „შერჩევითი სამართლის“ რამდენიმე საქმე არსებობს, არ არის მართალი, რადგან გვაქვს გარკვეული მიზეზები, რისთვისაც ვანო მერაბიშვილი და სხვები წინასწარი დაკავების იზოლატორში გვყავს. სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ წინა ხელისუფლებამ სამართლებრივი დევნა განახორციელა 300 000 მოქალაქის მიმართ, წინასწარ პატიმრობაში ჰყავდათ, ეს მანკიერი ტრადიცია იყო, მაგრამ ჩვენ გვქონდა მიზეზი, როდესაც ვთქვი, რომ ვანო მერაბიშვილი იყო გავლენიანი ფიგურა ქვეყანაში და არსებობდა რისკი, რომ ზემოქმედებას მოახდენდა მოწმეებზე, ამ საქმის მნიშვნელოვან მოწმეებზე.

**— მაგრამ თუ არ იარსებებს ოპოზიცია?**

— როდესაც გამოძიებას აქვს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ დაკავებულ პირს მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის საკმარისი უნარი გააჩნია, ადვილად შეგვიძლია მივმართოთ წინასწარ პატიმრობას.

*დასასრული მე-11 გვერდზე*

# ვიქტორია ნულანდის გეგმა უკრაინისთვის

ჯეიკობ ჰეილბრუნი,
National Interest [NI]

**სასიამოვნოა, რომ ვიქტორია ნულანდი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპულ საკითხებში, არ ერიდება და ევროკავშირის მიმართ საკუთარ უკმაყოფილებას გამოთქვამს. ბევრი ბრიტანელი კონსერვატორის, ფრანგი ფერმერისა და იტალიელი მერძევის მსგავსად, იგი, როგორც ჩანს, ჯანსაღად აფასებს ბრიუსელს, როგორც უსიამოვნებების წყაროს. „ევროკავშირის ...!" ამბობს ლაკონურად ახალ რგოლში YouTube-ზე, რომელმაც მორიგი დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია.**

ეს, შესაძლოა, რედაქტირებული რგოლი, სავარაუდოდ, ასახავს ნულანდის საუბრის ფრაგმენტს უკრაინაში აშშ-ს ელჩ ჯეფრი პაიეტთან და იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ნულანდი და ობამას ადმინისტრაცია ინტრიგებით არიან დაკავებულნი, რათა უკრაინა ახალი, უკეთესი მთავრობით უზრუნველყონ. იმავდროულად, მოსკოვში ვითარება უკიდურესად იძაბება. კრემლის მრჩეველი სერგეი გლაზევი ამბობს, რომ დროა, უკრაინის პრეზიდენტმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა ეს ყველაფერი დაასრულოს და „პუტჩისტებს" ბოლო მოუღოს. ობამას ადმინისტრაცია ცდილობს, არ გაამახვილოს ყურადღება ვიდეოს შინაარსზე და, ამის ნაცვლად, მოსკოვის ბინძურ თამაშს აპროტესტებს. მართალია, ედუარდ სნოუდენი ამ საქმეში, დიდი ალბათობით, არაფერ შუაშია, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჩანაწერი, მართლაც, მოდიოდეს რუსეთიდან — თანაც ყოველგვარი სიყვარულის გარეშე. ხუთშაბათს, ნულანდი კიევში იანუკოვიჩს ხვდება ისეთი საკითხების განსახილველად, როგორიცაა მისი ქვეყნის მომავალი, რომელიც პერიოდულად აღმოჩნდება ხოლმე მუქარის ან ფლირტის ობიექტი ხან მოსკოვის, ხან ვაშინგტონის მხრიდან. რა უნდა აირჩიოს მან? ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებისას (პრეზიდენტის ერთ-ერთი სასიამოვნო პრივილეგია!), იანუკოვიჩმა საკმაოდ მაღალფარდოვნად განაცხადა, რომ კრიზისი მხოლოდ „დიალოგისა და კომპრომისის" გზით შეიძლება გადაწყდეს.

თუმცა, ამ სატელეფონო საუბრის შედეგები ამერიკისთვის უმნიშვნელო არ არის. ჯერ ერთი, ის ცხადყოფს, რომ ობამას ადმინისტრაციას არა მხოლოდ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კრიზისის დასრულება, არამედ იმასაც, რომ ხელისუფლებაში მისთვის მისაღები მთავრობის მოყვანა უნდა. თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ განაცხადა: **„რა თქმა უნდა, საიდუმლო არ არის, რომ ჩვენი ელჩი და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მუშაობენ უკრაინის მთავრობასთან, ოპოზიციასთან, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ეხმარებიან მათ მშვიდობიანი გამოსავლის პოვნაში, რომელიც დაეფუძნება დიალოგს და პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეფორმებს. თუმცა, საბოლოოდ, უკრაინელმა ხალხმა თავად უნდა განსაზღვროს საკუთარი მომავალი".** აბსოლუტური სისულელეა და ნულანდის სიტყვებიც ამას მოწმობს. უნდა შევიდეს თუ არა უკრაინული ოპოზიციის ლიდერი ვიტალი კლიჩკო ახალ მთავრობაში? ნულანდის აზრით — არა. იგი ვერ იმუშავებს ოპოზიციის მეორე ლიდერთან, იაცენიუკთან. **„არ ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელია, არ მგონია, ეს კარგი იდეაა",** — ამბობს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, მაგრამ, კარგი იდეაა ის, რომ ამერიკის მთავრობა დამოუკიდებლად განსაზღვრავს ახალი მთავრობის შემადგენლობას სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია კანონიერად არჩეული მოქმედი მთავრობის დამხობაზე ან შეცვლაზე? თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ვაშინგტონი მოსკოვს სწორედ იმაში ადანაშაულებს, რომ ის უკრაინის შიდასაქმეებში ერევა, ღიმილისმომგვრელია, როდესაც თავად ვაშინგტონი ანალოგიური ჩარევითაა დაკავებული, მაგალითად, სენატორმა ჯონ მაკკეინმა ახლახან თქვა: **„ბოლო თვეებში პრეზიდენტი პუტინი იყენებდა ყველა ბერკეტს უკრაინის შესაშინებლად და მის ჩამოსაშორებლად ევროპისაგან. ქცევის ეს მოდელი ნიშნავს იმას, რომ რუსეთს უნდა ერთგვარი იმპერიული ბატონობა მეზობლებზე. რუსეთის ახლადშეძენილ თვითდაჯერებას სერიოზულად უწყობს ხელს ის გაუბედაობა, რომელსაც ადმინისტრაცია მსოფლიოს სხვა ადგილებში, განსაკუთრებით, სირიაში ავლენს"...** მაგრამ, უკრაინელებმა საკუთარი ბედი თავად არ უნდა განსაზღვრონ? სწორედ ამაზე არ იყო საუბარი თავიდანვე? ნუთუ ამერიკის ელჩი ადგილობრივი მონარქივით უნდა იქცეოდეს და თავად ირჩევდეს, ვინ მიიღებს მონაწილეობას კოალიციურ მთავრობაში და ვინ არა? არავითარ შემთხვევაში; მეორეც, რუსებს, როგორც ჩანს, შეუძლიათ ამერიკელი დიპლომატების კერძო საუბრების მოსმენა და ეს ობამას ადმინისტრაციას სერიოზულად უნდა აღელვებდეს. შეიძლება, ნულანდი და პაიეტი ერთმანეთს დაუცველი ხაზით ელაპარაკებოდნენ, მაგრამ კითხვები აქაც ჩნდება. როგორც ცნობილია, პრეზიდენტი ობამა მთელი ძალით ეწინააღმდეგება ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს (CIA) რეფორმირებას. თუმცა, რაც მეტი დრო გადის, ამერიკული დაზვერვა მით უფრო არაკომპეტენტურად გამოიყურება. მას არ შეუძლია არც უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავება, რომელსაც აგროვებს, არც სამთავრობო საუბრების დაცვა მოსმენისგან. ნულანდის რეპლიკების ირგვლივ ატეხილი ხმაური ნელ-ნელა ჩაცხრება, თუმცა ეს რეპლიკები ცხადყოფს, როგორ წარმოებს ამერიკული საგარეო პოლიტიკა. და რაც უფრო ხმამაღლა აცხადებს ობამას ადმინისტრაცია, რომ არ ერევა უკრაინის საქმეებში, მით უფრო მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ — ერევა.

# პრემიერ-მინისტრის ინტერვიუ France24-თან

*მე-10 გვერდიდან*

**— ამ კვირას, ბრიუსელში, ევროკომისარ შტეფან ფულეს შეხვდით. რა გითხრათ ამ პრობლემასთან დაკავშირებით იმიტომ, რომ, მართლაც, არსებობს ბევრი შფოთვა აქ, ბრიუსელში, რამდენადაც თქვენს ქვეყანაში აღარ დარჩა ოპოზიცია.**

— არ ვიტყოდი ამას... იმას ვგულისხმობ, რომ ეს ძალზე გაზვიადებულია და მესმის, საიდან მოდის, მაგრამ რეალობა ასეთია — მივესალმებით ნებისმიერ საერთაშორისო დამკვირვებელს, ნებისმიერ საერთაშორისო ექსპერტს, ჩამოვიდეს საქართველოში და შეისწავლოს ეს საქმეები. ხომ იცით, სიმართლე ძალზე ძლიერია.

**— ხომ არ გაქვთ იმიჯის პრობლემა?**

— ეს ძალზე გაზვიადებულია. იქ არ არის რამდენიმე ათეული ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი. ვთქვით, რომ შევიწყალეთ საშუალო და დაბალი რანგის თანამდებობის პირები, რაც შეეხება იმ ბატონებს, რომელთა მიმართ სასამართლო მიმდინარეობს, ამის მიზეზები გვქონდა. მაგალითად, დღეს მე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვარ და მოდი, ვთქვათ, რომ 5 წელიწადში ან 10 წელიწადში, ახალი მთავრობა მოვა ხელისუფლებაში და ისინი აღმოაჩენენ, რომ ჩავიდინე დანაშაული, უნდა ვიყო თუ არა პასუხისმგებელი? — რასაკვირველია, უნდა ვიყო პასუხისმგებელი იმისათვის, რაც გავაკეთე, რასაც ვაკეთებ ახლა. ესაა ჩემი კითხვა, ჩემი პასუხი და ასევე, მინდა, გავიმეორო, რომ არავინ დგას კანონზე მაღლა. უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ გვაქვს შესაბამისი სამართლებრივი სისტემა, პატივს ვცემთ კანონის უზენაესობასა და გამჭვირვალობას.

**— 2008 წელს თქვენმა ქვეყანამ გადაიტანა ძალზე რთული პერიოდი და გამანადგურებელი ომი რუსეთთან. ამის შედეგად „სამხრეთ ოსეთი" და აფხაზეთი გამოეყო საქართველოს, კრემლის აშკარა დახმარებით. დღეს კიდევ ერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა — უკრაინა ძალზე რთულ მდგომარეობაშია და ბევრი ხედავს ვლადიმერ პუტინის ჩრდილს უკრაინის გადაწყვეტილების უკან, ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების ბლოკირებასთან დაკავშირებით. ამგვარად, ჩემი კითხვაა — რას ურჩევდით უკრაინელ ხალხს, როგორ შეიძლება ქაოსის თავიდან აცილება ამ ქვეყნისთვის?**

— პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ უკრაინა მნიშვნელოვანი ქვეყანაა ჩვენთვის, პარტნიორი, მეგობარი... უკრაინასთან დიდი ისტორია გვაქვს, ძალზე შეწუხებულები ვართ ბოლოდროინდელი მოვლენებით და ყურადღებით ვადევნებთ თვალ-ყურს ჩვენს მოძმე ქვეყანაში მოვლენების განვითარებას. ვფიქრობ, უკრაინის ხელმძღვანელობა, ოპოზიცია და ხალხი უნდა შეიკრიბოს, დასხდნენ ერთ მაგიდასთან, ევროკავშირის მონაწილეობით და ერთად უნდა მოძებნონ გამოსავალი. სხვანაირად, ეს ქვეყანაში ქაოსს მოიტანს და ძალზე დრამატული, კატასტროფული იქნება.

**— გასული კვირის ბოლოს, მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთი ევროპელ ლიდერებს შეეჯახა — ის დასავლეთს, ოპოზიციის მხარდაჭერით, ძალადობის გაღვივებაში ადანაშაულებს. მართალია რუსეთი?**

— პირველ რიგში, ვიტყოდი, რომ ნებისმიერ ძალადობას ვგმობთ და ძალადობა არასოდესაა მისაღები, არ აქვს მნიშვნელობა, ის ოპოზიციისაგან მოდის თუ მთავრობისგან.

**— ახლა ძალადობა მოდის ორივე მხრიდან, ასეა?**

— არა, არა, არ ვიტყოდი ასე... არ ვამბობ, რომ ის ორივე მხრიდან მოდის. არსებობენ კომპეტენტური, უფლებამოსილი ორგანოები, რომლებიც გაარკვევენ, საიდან მოდის ძალადობა.

**— გადავინაცვლოთ სოჭის ზამთრის ოლიმპიადისკენ, რომელიც პარასკევს ვლადიმერ პუტინმა გახსნა. თბილისი, თქვენი დედაქალაქი, მხოლოდ 500 კმ-ითაა დაშორებული სოჭიდან, ქალაქიდან, რომელსაც ძალიან კარგად იცნობთ. ნება მომეცით, პირველ რიგში, გკითხოთ, ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ სოჭი იდეალური ქალაქი იყო?**

— კარგი კითხვაა — ის არ იყო იდეალური, პირველ რიგში, ჩვენთვის, საქართველოსათვის იმიტომ, რომ ახლოა ჩვენთან, ჩვენს ოკუპირებულ რეგიონთან — აფხაზეთთან; მეორეც, მართლაც, ძალზე ძნელი იყო, მიგველო გადაწყვეტილება ჩვენი გუნდის, ჩვენი სპორტსმენების სოჭში გაგზავნის შესახებ.

**— რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება?**

— მოგახსენებთ — ვიფიქრეთ, რომ უნდა გავმიჯნოთ სპორტი და პოლიტიკა და ვთქვით, რომ სპორტსმენები არ უნდა დაზარალდნენ, გადაწყვეტილების მიღება რთულია, მაგრამ ისინი უნდა გავაგზავნოთ და ასეც გავაკეთეთ. არ გამოვუცხადეთ ბოიკოტი სოჭის ოლიმპიურ თამაშებს, მაგრამ ჩვენი მთავრობის არც ერთი ოფიციალური პირი იქ არ მიდის.

**— რაც შეეხება ტერორისტული თავდასხმების საშიშროებას ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას, რუსეთთან უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობთ?**

— დავაფიქსირეთ, რომ სიამოვნებით ვითანამშრომლებდით, უსაფრთხოების სფეროშიც კი... ვთქვით, რომ მოხარულნი ვიქნებოდით, გვეთანამშრომლა და ხელი შეგვეწყო სოჭის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებისთვის. ჩვენი მხრიდან, უსაფრთხოების ზომები გავაძლიერეთ, შარშან პატრულირებას ვახორციელებდით და ვაკონტროლებდით ვითარებას ჩვენი ტერიტორიის მიწებზე და ვფიქრობ, წარმატებასაც მივაღწიეთ.

**— რასაკვირველია, ქართული ღვინის შესახებ უნდა გკითხოთ იმიტომ, რომ ის განსაკუთრებით პოპულარულია რეგიონში, მაგრამ აკრძალვის გამო, თქვენი ღვინის დალევა სოჭში ვერ მოხერხდება. ხომ არ ფიქრობთ, რომ იქ ქართული ღვინოს წარმოდგენა ორ ქვეყანას შორის ურთიერთგაგების ძლიერი მომენტი იქნებოდა?**

— დიახ, ვფიქრობ, ეს ქართული ღვინის მხარდაჭერის დიდებული შესაძლებლობაა სოჭის ოლიმპიური თამაშების დროს და ყველას ნამდვილად მოეწონება ის. იმედია, ვნახავთ ქართულ ღვინოს სოჭში, ოლიმპიურ თამაშებზე.

**— მაგრამ, რამდენადაც შეგვატყობინეს, წელს იქ არ იქნება ღვინო.**

— ეს ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

**— ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ლიდერი ხართ, პრემიერის პოსტზე 31 წლის ასაკში დაინიშნეთ. თქვენი ზოგიერთი კრიტიკოსი ამბობს, რომ ქართველი მილიარდერის, ბიძინა ივანიშვილი მფარველობის ქვეშ ხართ, რომელიც თქვენი ძლიერი და ახლო მოკავშირეა. როგორ რეაგირებთ ამ კრიტიკაზე?**

— საქმე ასაკში კი არა, შრომასა და შედეგების მიღწევაშია. ერთს გეტყვით, როდესაც 23 წლის ვიყავი, ივანიშვილის ფონდის პრეზიდენტი გავხდი და შემდეგ რამდენჯერმე დავწინაურდი... ვიტყოდი, რომ ჩემი ასაკი, ჩემი წარმატების საიდუმლოა.

## აფხაზეთის საჰაერო სივრცის კონტროლი რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაიკანონეს

2014 წლის 6 თებერვალს ხელი მოეწერა პროტოკოლს, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ბაზებისა და აფხაზეთის დე ფაქტო სამხედრო ძალები ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში ითანამშრომლებენ. ამის შესახებ აფხაზური მედია იუწყება. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, პროტოკოლს ხელი რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრებმა მოაწერეს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ მსგავსი საკანონმდებლო ბაზის შექმნით, რუსეთსა და აფხაზეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობისკენ მორიგი ნაბიჯი გადაიდგა.

შეთანხმება ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კუთხით ერთობლივი ღონისძიებების გატარებას და, რაც ყველაზე მთავარია, ჩადებულია მუხლი, რომლის მიხედვითაც რუსეთის საჰაერო ძალებმა დაიკანონეს „აფხაზეთის საჰაერო სივრცის“ კონტროლის უფლება. შეგახსენებთ, რომ 2014 წლის 28 იანვარს ანალოგიური შეთანხმება შედგა რუსეთის ფედერაციასა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის.

*„აფხაზეთის ხმა“*

## ოლიმპიადის ვებგვერდზე მოთხილამურის მონაცემებში გალი რუსეთად აღარ მოიხსენიება

სოჭის ოლიმპიადის მონაწილის, მოთხილამურე მარიკა პერტახიას დაბადების ადგილის შესახებ მონაცემები ოლიმპიადის ინგლისურენოვან ოფიციალურ ვებგვერდზეც შეიცვალა და იქ უკვე საქართველოა მითითებული. მანამდე ინფორმაცია რუსულენოვან ოფიციალურ ვებგვერდზე ჩასწორდა. ცვლილებები ინტერნეტსაიტზე მას შემდეგ განხორციელდა, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააპროტესტა ის ფაქტი, რომ გალი რუსეთის ტერიტორიად იყო მოხსენიებული.

სოჭის ოლიმპიადის ვებგვერდზე განთავსებული არასწორი ინფორმაციის გამო, რომლის მიხედვითაც გალი რუსეთის ტერიტორიადაა მოხსენიებული, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა. საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უკვე მიმართა. მარი ნარჩემაშვილის განცხადებით, დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა, რომელიც აღმოიფხვრება. საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ საკითხის სრულად გარკვევის შემდეგ ინფორმაციას გაავრცელებენ.

*„აფხაზეთის ხმა“*

# „მე მალე მომკლავენ“ – ГРУ-ს ყოფილი სპეცრაზმელი, რომელმაც ქართველი მკვლელების ჯგუფს მიაგნო

**„ნოვაია გაზეტასტან“ სკანდალურ ინტერვიუში ბორის ორტიკოვი ამბობს, რომ ქართველებისგან შემდგარი, რუსეთში მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფი აღმოაჩინა, რომლის წევრებიც მარტოხელა ადამიანებს ხოცავენ, ბინებს კი ყიდიან.**

ბორის ორტიკოვს დასახმარებლად მეგობრის შვილმა, საეჭვო ვითარებაში გამქრალი ახალგაზრდა გოგონას – მარინა ვოლკონოვსკაიას დამ მიმართა, რომლის მამასთანაც ორტიკოვი ავღანეთში იბრძოდა. ელენე ვოლკონოვსკაიამ ორტიკოვს მას შემდეგ მიაკითხა, როცა უგზოუკვლოდ გამქრალი დის კვალს ვერსად მიაგნო, ბოლოს კი მისი ცხედარი იპოვეს. მარინა ვოლკონოვსკაია „ვესტის“ ყოფილი ჟურნალისტია, იგი 2012 წლის 9 აპრილს დაიკარგა. დას ტელეფონზე მოკლე შეტყობინება გაუგზავნა: „ქალაქგარეთ ვარ, ნაცნობთან“, სამი დღის შემდეგ კი მიწერა: „ბინა გავყიდე, დავლაგდები, შეგეხმიანები“.

მოგვიანებით, ახლობლებმა შეიტყვეს, თითქოს, მარინამ კიროვოგრადის ქუჩაზე მდებარე ბინა 500 ათას რუბლად გაყიდა და საცხოვრებლად ლიპეცკის რაიონის სოფელ პოპოვკაში გადავიდა. ამასთან, პასპორტში, რომელიც გამოიყენეს მარინას ხელმოწერისთვის, სხვა ადამიანის ფოტო იყო ჩაკრული. ბორისმა მიაგნო ქალს, ვისი ფოტოც მარინას პასპორტზე იყო, შემდეგ კი, დადარაჯდა მარინას ყოფილ სახლთან და მის ახალ მფლობელებსაც გაეცნო: იგი უკრაინელი რომან დემბოვსკი აღმოჩნდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბინა სიმამრმა ავთანდილ სარალიძემ „უფეშქაშა“. დემბოვსკიც და სარალიძეც აცხადებდნენ, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ვინ იყო მარინა...

ГРУ-ს ყოფილმა სპეცრაზმელმა ისიც დაადგინა, რომ მარინას სახლში შეფარებული ჰყავდა ვინმე ნანა ქობულაშვილი, რომელიც თავს დევნილად ასაღებდა, მუდმივად წუწუნებდა გაუსაძლის ყოფაზე და, ბოლოს და ბოლოს, მარინას თანაგრძნობა მიიღო: ნანა ქობულაშვილს თავის სახლში ცხოვრება შესთავაზა, რასაც ის, ცხადია, დათანხმდა. აფერაც სწორედ აქედან დაიწყო... ГРУ-ს ყოფილი სპეცრაზმელი ამბობს, რომ შეიკრა ჯაჭვი ავთანდილ სარალიძეს, ნანა ქობულაშვილსა და სარალიძის სიძეს შორის, რომლებიც სწორედ ამ სქემით მოქმედებდნენ: მარტოხელა ადამიანების საცხოვრებელ სახლში სხვადასხვა მიზეზით ნანა ქობულაშვილი „გადაბარგდებოდა“, ცოტა ხნის შემდეგ მარტოხელები ქრებოდნენ, ბინა კი აუქციონზე ან სხვა მეთოდით იყიდებოდა... ბორის ორტიკოვი ამბობს, რომ ამ სქემაში ჩართულნი იყვნენ პოლიციის მაღალჩინოსნები, ჩაწერის სამსახურის თანამშრომლები, სახლმმართველობები და ნოტარიუსები. როცა შეიტყვეს, რომ ორტიკოვისგან საფრთხე მოდიოდა, მისი განეიტრალებაც გადაწყვიტეს. ორტიკოვი ამბობს, რომ მასზე თავდასხმა უკვე მოხდა და სიკვდილს გადაურჩა – მან ჟურნალისტს ამ თავდასხმის კვალიც უჩვენა საკუთარ სხეულზე. ორტიკოვი ასახელებს პირებს, რომლებიც ბანდის მსხვერპლნი გახდნენ, ასახელებს სხვა ქართველებსაც, ე.წ. ცრუ დევნილებს, რომლებიც სწორედ ქობულაშვილის მსგავსად შედიან კონტაქტში მოსკოველებთან – პენსიონერებთან და არამარტო მათთან. ავთანდილ სარალიძესთან ერთად, ბანდის შემადგენლობაში ორტიკოვი კიდევ ორ ქართველს – კობახიასა და აფხაზავას ასახელებს, თუმცა, მიაჩნია, რომ ეს მხოლოდ ერთი რგოლია და ყველაზე მთავარი ამ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში ვინმე გოგოხიაა, რომელიც ასევე აფხაზეთიდანაა. ორტიკოვი ამბობს, რომ მისი გამუდმებული მცდელობისა და საგამოძიებო ორგანოებში პირადად სიარულის შემდეგ, ცრუ დევნილი ქალები დაიკავეს, დაიკავეს ასევე გოგოხიაც. როგორც ორტიკოვი აცხადებს, დაპატიმრების მომენტში გოგოხიას მძევლად ჰყავდა 8 მოსკოველი, ხოლო ფსბ-ს ოპერმუშაკებმა საწოლის ქვეშ დამალულ ყუთში იპოვეს 130 ბინის დოკუმენტები. ბინების მეპატრონეთა უმრავლესობა ამ დრომდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

*ანანო კვაჭანტირაძე, „აფხაზეთის ხმა“*

ВЕРСИАНИУСИ

## სოჭში 23 თებერვალს პროვოკაცია იგეგმება

ევროპელი დემოკრატების ლიდერის, პაატა დავითაიას განცხადებით, სოჭში, 23 თებერვალს საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთი პროვოკაცია იგეგმება.

**„სოჭის ოლიმპიადა არაერთი პროვოკაციით გამოირჩევა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. დაწყებული განცხადებებით, დამთავრებული ღრუბლიანი რუკით, რომელმაც აფხაზეთი და ოსეთი დაფარა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას ვაფრთხილებდი, რომ რუსეთის მხრიდან პროვოკაციები მოსალოდნელი იყო, ახლაც მინდა, გავაფრთხილო, რომ მზადდება პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ ოლიმპიადის დახურვის დღეს“,** — განაცხადა დავითაიამ. მისივე თქმით, აქვს ინფორმაცია, რომ სამხედრო ძალების დღესთან დაკავშირებით, რუსეთი კიდევ ერთი პროვოკაციული განცხადების გაკეთებას აპირებს საქართველოს წინააღმდეგ.

**„მინდა, გაგაფრთხილოთ და გითხრათ, რომ ოლიმპიური თამაშების დახურვისთვის, საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთი პროვოკაცია მზადდება. როგორც იცით, 23 თებერვალს არის ე.წ. სამხედრო ძალების დღე. გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის სამხედრო ძალები ამ დღეს ოლიმპიადაზე განცხადების გაკეთებას გეგმავს იმაზე, თუ როგორ დაამყარეს მშვიდობა აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში, როგორ დაიცვეს ხალხი, რითაც ოკუპაციის გამართლებას შეეცდებიან“,** — განაცხადა პაატა დავითაიამ. დავითაია მიიჩნევს, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ უფრო დაიძაბება და საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ ნებისმიერი დათმობაც კი მათი მხრიდან შეიძლება რაღაც მოქმედებების დასაწყისი გახდეს.

*„გეონიუს.გე“*

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | | | | 3 |
| 4 | | | | | | 9 | 8 | |
| | 7 | 6 | | | 9 | 2 | | |
| 6 | 9 | | 2 | 7 | | | | |
| | | 7 | | 6 | | 8 | | |
| | | | | 1 | 4 | | 7 | 9 |
| | | 2 | 1 | | | 4 | 5 | |
| | 3 | 9 | | | | | | 7 |
| 1 | | | | | | 3 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | | 5 | 8 | | |
| | | | | 8 | 7 | 6 | | 2 |
| | | | | 9 | | | 1 | 3 |
| | | 7 | 9 | | | | 6 | 1 |
| | | | | | | | | |
| 9 | 6 | | | | 1 | 3 | | |
| 6 | 9 | | | 3 | | | | |
| 1 | | 2 | 6 | 4 | | | | |
| | | 8 | 5 | | | | 9 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | 8 | 7 | | 4 | | | 9 |
| | | | 3 | 6 | | | | |
| | | 3 | | | 8 | 6 | | |
| | | 5 | | | | | | 8 |
| | 8 | 2 | | | | 3 | 1 | |
| 9 | | | | | | 4 | | |
| | | 7 | 4 | | | 2 | | |
| | | | | 8 | 7 | | | |
| 8 | | | 2 | | 5 | 1 | 4 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 2 | 4 | | 7 |
| 7 | 9 | | | | | | | 2 |
| | | 1 | | | | | 5 | |
| | 7 | | | 8 | 4 | | | 1 |
| 4 | 3 | | | 5 | | | 6 | 9 |
| 2 | | | 3 | 9 | | | 8 | |
| | 6 | | | | | 9 | | |
| 9 | | | | | | | 7 | 6 |
| 8 | | 2 | 9 | | | | | |

## „გეებისთვის აკრძალული" ლუდი

შოტლანდიის ერთ-ერთმა ლუდსახარშმა გაყიდვაში გამოუშვა მსოფლიოში ერთადერთი „საპროტესტო" ლუდი, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტის პატივსაცემად, უწოდეს — „გამარჯობა, ვლადიმერი მქვია". სახელწოდებასთან ერთად, ეტიკეტზე პუტინის ფოტოც იწონებს თავს, თუმცა ენდი უორჰოლის სტილში — შეღებილი ტუჩებითა და თვალებით, ყოველ ბოთლზე კი მითითებულია, რომ ეს სასმელი „არ არის გათვალისწინებული გეებისთვის". ლუდსახარშის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ სახელობითი სასმელის გაყიდვიდან შემოსული თანხის 50% ქველმოქმედებაზე დაიხარჯება და დაჩაგრულ უმცირესობას მოხმარდება. აღსანიშნავია, რომ ამ ქარვისფერი სითხის გამოშვება კიდევ ერთ მოვლენას დაემთხვა: შოტლანდიის პარლამენტმა ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება მოახდინა. ამბობენ, რომ ლუდის მცირე პარტია კრემლშიც გაგზავნეს.

## პოლიციელი ქვეშევრდომებს იძულებით აჭმევდა

იაპონიის პოლიციის სერჟანტმა თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც გაირკვა, რომ ხელქვეითებს ძალით აჭმევდა საჭმელს. „ძალადობაში ბრალდებული" 40 წლის მამაკაცი აცხადებს, რომ ოთხ თანამშრომელს აიძულებდა, სხვადასხვა კერძი უზარმაზარი ულუფებით მიერთვათ და ასე გამობრძმედილიყვნენ. გარდა ამისა, ხელმძღვანელს სურდა, ხელქვეითების სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველებისთვის მიეღწია, შეთავაზებულ საკვებში კი შედიოდა 15 ჰამბურგერი, 15 ღვეზელი, 3-4 ლიტრი რძიანი ყავა, 4 ჯამი მაკარონი და საკვების საფასური პოლიციელებს თავად უნდა გადაეხადათ. უცნობია, ვინ „ჩაუშვა ბოსი", რადგან ხელქვეითები არ უჩიოდნენ უფროსის სისასტიკეს და უფროსებთან ქცევის მორალურ კოდექსს იცავდნენ.

## მსუქან ბრიტანელებს მესიჯებს დაუგზავნიან

ნისლიანი ალბიონის ქალაქ სტოკ-ონტრენტის მძიმეწონიან მაცხოვრებლებს ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს გაუგზავნიან. ქალაქის ადმინისტრაციის მონაცემებით, ამჟამად, 70 ათასზე მეტ მოსახლეს ჭარბი წონის პრობლემა აქვს და მათთვის მესიჯების გაგზავნაც ამიტომ მოიფიქრეს. „მიირთვით ხილი და ბოსტნეული" — ამგვარ შეტყობინებას მიიღებენ პროგრამის მონაწილეები. პროექტის ღირებულება კი 10 ათასი გირვანქა სტერლინგია (16,3 ათასი დოლარი). ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ბოლო 25 წლის განმავლობაში ჭარბწონიან ბრიტანელთა რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა, ბავშვებისა — სამჯერ და ყოველწლიურად ამ სენთან ბრძოლა ქვეყანას 13,4 მილიარდი დოლარი უჯდება.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 6 | 1 | 3 | 7 | 2 | 5 | 4 |
| 3 | 5 | 4 | 6 | 2 | 9 | 7 | 8 | 1 |
| 1 | 2 | 7 | 5 | 8 | 4 | 3 | 6 | 9 |
| 5 | 4 | 8 | 3 | 1 | 6 | 9 | 7 | 2 |
| 2 | 7 | 1 | 9 | 5 | 8 | 6 | 4 | 3 |
| 6 | 3 | 9 | 7 | 4 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 8 | 1 | 3 | 2 | 7 | 5 | 4 | 9 | 6 |
| 4 | 9 | 5 | 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 7 |
| 7 | 6 | 2 | 4 | 9 | 1 | 8 | 3 | 5 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 4 | 8 | 7 | 6 | 2 | 1 | 5 |
| 2 | 8 | 1 | 9 | 5 | 3 | 7 | 6 | 4 |
| 7 | 5 | 6 | 4 | 2 | 1 | 3 | 8 | 9 |
| 5 | 7 | 8 | 6 | 1 | 4 | 9 | 3 | 2 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 5 | 7 | 1 |
| 1 | 2 | 9 | 7 | 3 | 5 | 8 | 4 | 6 |
| 8 | 1 | 7 | 5 | 4 | 2 | 6 | 9 | 3 |
| 4 | 6 | 5 | 3 | 8 | 9 | 1 | 2 | 7 |
| 3 | 9 | 2 | 1 | 6 | 7 | 4 | 5 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 | 8 |
| 1 | 7 | 4 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 | 3 |
| 8 | 9 | 3 | 5 | 7 | 6 | 2 | 4 | 1 |
| 9 | 5 | 2 | 1 | 8 | 7 | 4 | 3 | 6 |
| 4 | 1 | 6 | 3 | 5 | 2 | 7 | 8 | 9 |
| 3 | 8 | 7 | 9 | 6 | 4 | 1 | 2 | 5 |
| 6 | 4 | 1 | 8 | 2 | 3 | 5 | 9 | 7 |
| 7 | 3 | 9 | 6 | 4 | 5 | 8 | 1 | 2 |
| 5 | 2 | 8 | 7 | 1 | 9 | 3 | 6 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 2 | 5 | 6 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 6 | 1 | 3 | 9 | 8 | 7 | 2 | 4 |
| 9 | 8 | 4 | 2 | 7 | 1 | 6 | 3 | 5 |
| 2 | 7 | 8 | 4 | 5 | 9 | 3 | 1 | 6 |
| 6 | 1 | 9 | 8 | 3 | 7 | 5 | 4 | 2 |
| 4 | 5 | 3 | 1 | 2 | 6 | 9 | 8 | 7 |
| 3 | 4 | 7 | 9 | 8 | 5 | 2 | 6 | 1 |
| 8 | 2 | 6 | 7 | 1 | 3 | 4 | 5 | 9 |
| 1 | 9 | 5 | 6 | 4 | 2 | 8 | 7 | 3 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 5 | 1 | 4 | 2 | 3 | 9 | 8 |
| 4 | 2 | 8 | 7 | 9 | 3 | 6 | 1 | 5 |
| 1 | 3 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 7 |
| 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 2 | 1 | 6 | 3 | 7 | 8 | 9 | 5 | 4 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 |
| 8 | 9 | 4 | 5 | 3 | 7 | 1 | 6 | 2 |
| 7 | 6 | 2 | 9 | 8 | 1 | 5 | 4 | 3 |
| 3 | 5 | 1 | 4 | 2 | 6 | 7 | 8 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 7 | 6 | 9 | 5 | 4 | 2 | 8 |
| 2 | 5 | 4 | 8 | 3 | 1 | 7 | 9 | 6 |
| 8 | 9 | 6 | 7 | 4 | 2 | 1 | 5 | 3 |
| 7 | 4 | 2 | 5 | 6 | 9 | 8 | 3 | 1 |
| 1 | 3 | 9 | 4 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 |
| 6 | 8 | 5 | 1 | 2 | 3 | 9 | 4 | 7 |
| 9 | 7 | 8 | 3 | 5 | 6 | 2 | 1 | 4 |
| 5 | 6 | 1 | 2 | 7 | 4 | 3 | 8 | 9 |
| 4 | 2 | 3 | 9 | 1 | 8 | 6 | 7 | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 9 | 8 | 5 | 7 |
| 1 | 9 | 5 | 2 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 9 | 1 | 4 | 8 | 3 | 2 | 7 | 6 | 5 |
| 5 | 7 | 3 | 6 | 1 | 4 | 9 | 2 | 8 |
| 6 | 2 | 8 | 9 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 3 | 6 | 9 | 7 | 2 | 1 | 5 | 8 | 4 |
| 2 | 5 | 1 | 4 | 9 | 8 | 3 | 7 | 6 |
| 8 | 4 | 7 | 3 | 5 | 6 | 1 | 9 | 2 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 2 | 5 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 7 | 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 4 | 1 |
| 5 | 3 | 4 | 1 | 2 | 9 | 7 | 6 | 8 |
| 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 6 | 1 | 3 | 8 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 4 | 7 | 6 | 9 | 1 | 2 | 8 | 5 | 3 |
| 8 | 1 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 | 9 | 6 |
| 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 | 1 | 7 | 4 |

მე-13 გვერდი: 1. ფრენჩი; 2. რაიხსტაგი; 3. ნეკროლოგი; 4. თმოგვი; 5. მენორა; 6. გლინკა; 7. ბისკაი; 8. ქორო; 9. კიკეთი; 10. ისტერიკა; 11. ანგინა; 12. ორიონი; 13. ქიში; 14. ტოლი; 15. კოქსი; 16. ოსკარი; 17. სანა; 18. აეროდრომი; 19. „კია"; 20. კოკორი; 21. ბაროკო; 22. ფორტე; 23. იაკი; 24. გოგენი; 25. ფოთი; 26. ფარაონი; 27. რიანა; 28. ნეი; 29. მარტინი; 30. ბართოლდი; 31. ბალისტიკა; 32. ომი; 33. ნეკი; 34. ლამა; 35. მონო; 36. რა; 37. რქა; 38. ტიმპანი; 39. მარატი; 40. თრია; 41. ავოკადო; 42. ოროლი; 43. აქსუ; 44. დამა; 45. ესე; 46. კანო; 47. ოკრიბა; 48. ტიროლი; 49. გე; 50. ტინი; 51. სვენ; 52. კოლოფი; 53. ოქტაგონი; 54. ნისია; 55. პარტერი; 56. მენისკი; 57. ლოტოსი; 58. პარსეკი; 59. თვალი; 60. უბანი; 61. ტახი; 62. რური; 63. ამოკი; 64. ანანი; 65. ტრირი; 66. იუკა; 67. აპია; 68. ტაო; 69. ბალავარი; 70. ალი; 71. ლაუდა; 72. ლეონი; 73. არიმანი; 74. იფი; 75. ბო; 76. ვერონა; 77. ოლარი; 78. სპა; 79. ნანული; 80. პა; 81. ურა; 82. იან; 83. ირი; 84. იუტა; 85. ფინიკი.

მე-16 გვერდი: 1. აუდიომეტრია; 2. ბუცეფალი; 3. კეცალკოატლი; 4. მეფე; 5. ტოგა; 6. ისრიმი; 7. ალტი; 8. ცრუ; 9. ფსოუ; 10. კაენი; 11. ლაილაი; 12. რტო; 13. ფიგურული სრიალი; 14. ატესტატი; 15. ნეპოტიზმი; 16. კრატერი; 17. სიკოკუ; 18. ლოპრი; 19. ამნისტია; 20. რუალ; 21. როსტანი; 22. ჰაე; 23. პორტიე; 24. ერმაკი; 25. ტერიერი; 26. ტენი; 27. ოფი; 28. პრესტო; 29. პაი; 30. ემისია; 31. ლევი; 32. ლაშარი; 33. შევჩუკი; 34. რელე; 35. ტეტრისი; 36. აკირა; 37. ბონო; 38. მარიხი; 39. გეიტსი; 40. ეიფელი; 41. ემი; 42. ორვილე; 43. ალა; 44. ოე; 45. „პსპ"; 46. ზიტა; 47. რიო; 48. რიმეიკი; 49. კრივი; 50. ერე; 51. ელ; 52. ბრა; 53. ტრუა; 54. რივიერა; 55. არიფანა; 56. კისა; 57. კლარნეტი; 58. ეოლე; 59. ეტი; 60. ავი; 61. ანოა; 62. ხაკი.

# ჰოროსკოპი
## 12 თებერვალი

***ვერძი*** — ფინანსური დანაკარგი გელით. ოჯახში დაძაბული ატმოსფერო იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. დღეს კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მგზავრობისთვის.

***კურო*** — დღე კუროებისთვის აღმოჩენებით იქნება სავსე, გაგიჭირდებათ, გაუძლოთ ცდუნებას, სხვა ადამიანების ნეგატიურ გავლენასა და მავნე ჩვევებს. არ ღირს ზედმეტი წუწუნი უბედობასა და სხვების მხარდაჭერის ძიებაზე.

***ტყუპები*** — შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაც გაუგებრობასა და წყენას გამოიწვევს.

***კირჩხიბი*** — შეძლებთ სხვებს ადვილად დაუმალოთ პატარა შეცდომები. არ არის გამორიცხული დანაკარგი ადრინდელი ფინანსური მოქმედებების გამო. ეს გამოვლინდება ფულად გადარიცხვებში.

***ლომი*** — დღე ლომებისთვის მაღალი აქტიურობით გამოირჩევა. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე მოვალეობა მთელ ყურადღებას წაიღებს. საღამოს გირჩევთ, მეტი დრო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან.

***ქალწული*** — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის. სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ.

***სასწორი*** — ყურადღების ცენტრში იქნებით, წარუმატებელი დღეა ინტიმური ურთიერთობებისთვის. თუ ვინმესთან ნაჩხუბარი ხართ, შესაფერისი დროა შესარიგებლად. წარმატებული იქნება კომერციული ოპერაციები, შესაძლოა, გარკვეული დახმარება უცხოეთიდან მიიღოთ.

***ღრიანკალი*** — დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული უსიამოვნო ინფორმაციის გაგება, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში. შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობებიც განაახლოთ.

***მშვილდოსანი*** — ფინანსური დანაკარგი გელით — ეს ყველაფერი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო ხდება. საყვარელ ადამიანთან შეხვედრისას ურთიერთობების გართულების ალბათობაც დიდია, არის დაშორების რისკი.

***თხის რქა*** — დღე საუკეთესოა საქმიანი მოლაპარაკებისა და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გასარკვევად. მხოლოდ გაითვალისწინეთ, რომ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად კომპრომისზე წასვლა დაგჭირდებათ.

***მერწყული*** — დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, რაც თქვენი ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. აუცილებლად გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, ფინანსების მხრივაც, საკმაოდ წარმატებული დღეა.

***თევზები*** — კოლეგებსა და ახლო ნათესავებთან ურთიერთობაში პრობლემები გელით. დღის განმავლობაში უფრო სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით, საღამოს, შესაძლოა, ზოგიერთი ფინანსური პრობლემა გაჩნდეს.

# მიტოვებულმა პატარძალმა იჩივლა

აშშ-ში, ჩრდილოეთ დაკოტაში მცხოვრებმა ქალმა, რომელიც ქორწილის წინ სასიძომ მიატოვა, გადაწყვიტა, საქორწინო ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის დღესასწაულად ექცია. ქორწილის წინა დღეს პატარძალს საქმრომ დაურეკა და განუცხადა, რომ მისი ცოლად შერთვა გადაიფიქრა, დღესასწაულზე უარის თქმა კი უკვე გვიან იყო, ქალს ფულს არავინ დაუბრუნებდა და ამიტომ ახლობლებთან ერთად, გადაწყვიტა, ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის პაციენტები გაეხარებინა. როგორც თავად აცხადებს, ეს საუკეთესო გამოსავალი იყო შექმნილი ვითარებიდან — დღე, რომელიც განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო ჩემს ცხოვრებაში, ახლა მათთვის იქნება დაუვიწყარიო.

# წყვილი კიმ კარდაშიანის გამო დაშორდა

საუდის არაბეთში მცხოვრები მამაკაცი ცოლს აშერიკელი ლამაზმანის, კიმ კარდაშიანის გამო დაშორდა. საქმე ისაა, რომ ცოლმა გადაწყვიტა, ჰოლივუდის ვარსკვლავისთვის მიებაძა, რადგან ფიქრობდა, ქმარი ასე მეტ ყურადღებას დაუთმობდა და შეიცვალა ვარცხნილობა.

შევნიშნე, მეუღლე აღფრთოვანებული იყო ამ ქალით და ამიტომ გადავწყვიტე, დავემსგავსებოდი, — ამბობს „დაზარალებული“ და წუხს, რომ შედეგმა იმედი გაუცრუა — ქმარმა განუცხადა, რომ არ მოსწონდა გარეგნული ცვლილება, რის გამოც იჩხუბეს და ოჯახური სკანდალი განქორწინებით დასრულდა.

# გოგონა ქვის ცრემლით ტირის

უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა იემენში — 12 წლის გოგონას, საადია სალეხს, თვალებიდან, ცრემლის ნაცვლად, ქვები სცვივა. ბავშვის მშობლებს მთელი ქილა ეს მყარი მასალა აქვთ მოგროვილი, რომელიც ამოუხსნელი გზით საადიას წამწამებზე ხვდება. გოგონას არ ესმის, რა ხდება მის თავს, ყოველ შემთხვევაში, „ქვის ცრემლების“ გამო არანაირ ტკივილს არ გრძნობს. ამ ამბის გახმაურების შემდეგ სალეხის ოჯახს თანსოფლელები განუდგნენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ისინი დაწყევლილები არიან, ექიმების თქმით კი, დღე-ღამის განმავლობაში ბავშვს შეუძლია ქვის ცრემლისგან სინჯარა გაავსოს, თუმცა, იემენელი მედიკოსები ვერაფრით ხსნიან, ამ უჩვეულო მოვლენას და ვერც იმას ამბობენ, რამდენად საშიშია პაციენტისა და გარშემომყოფებისთვის.

# ჰოროსკოპი
## 13 თებერვალი

***ვერძი*** — ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ, იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ, საყვარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობები კი, შეიძლება ჩიხში შევიდეს.

***კურო*** — მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ ნიუანსებს, რაც უამრავ პრობლემას გიქმნით. მიღებული ინფორმაცია თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

***ტყუპები*** — შეგიძლიათ, თამამად აიღოთ ვალი და თანხა კარგ საქმეში დააბანდოთ. გაბედულად გამოიჩინეთ ინიციატივა, გახადეთ ის კოლეგებისა და უფროსობისთვის საჯარო, საღამოს კი შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ.

***კირჩხიბი*** — კარგი დღეა სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრების სისრულეში მოყვანისთვის. ტყუილის თქმა ვერ გიშველით, მხოლოდ თქვენვე დაგაზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავება და ნუ გაჯიუტდებით.

***ლომი*** — ლომებმა სიბრძნე და გამძლეობა უნდა გამოავლინონ. გულღია საუბარი საკუთარი თავის რწმენას დაგიბრუნებთ, თუმცა არსებობს ტრავმის საფრთხე. კარგი დღეა ფინანსისტებისთვის.

***ქალწული*** — შესაძლოა, ისეთ ვითარებაში აღმოჩნდეთ, რაც ტაქტსა და მოთმინებას საჭიროებს. პაემანი, სჯობს, გადადოთ, რადგან ასეთი შეხვედრა დღეს კარგს არაფერს მოგიტანთ და ვერც უსიამოვნო საუბარს გაექცევით.

***სასწორი*** — ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, რადგან ურთიერთობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს, თუმცა მოვლენებს ნუ დააჩქარებთ, რადგან დღეს არასასურველი დღეა კარდინალური ცვლილებებისთვის.

***ღრიანკალი*** — შესაძლოა ცვლილებები სამსახურში, არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა. დღის განმავლობაში მოსალოდნელია შეხვედრა გავლენიან ადამიანებთან.

***მშვილდოსანი*** — განსაკუთრებით მობილიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოთ, მნიშვნელოვანი სამუშაო რომ შეასრულოთ. შესაძლოა თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული, ხანმოკლე სამსახურეობრივი რომანი კი უფროსობის მხრიდან აშკარა გულისწყრომას გამოიწვევს.

***თხის რქა*** — მოსალოდნელია, დღე კონფლიქტით დაიწყოს — თავისმართლება არ გიშველით, რადგან დიდწილად, დამნაშავე თავად იქნებით. ამიტომ განმარტოვდით და ასე მოსალოდნელ კონფლიქტს აიცილებთ.

***მერწყული*** — შეგიძლიათ მოხერხებულად ისარგებლოთ შექმნილი ვითარებით. კარგი პერსპექტივებია პირად ცხოვრებაში, თუკი ინტელექტუალური საუბრები გიტაცებთ.

***თევზები*** — შეეცადეთ, დინებამ შორს არ გაგიტაცოთ, რადგან მერე გაგიჭირდებათ რეალობასთან დაბრუნება. ფრთხილად იყავით — ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენს ირგვლივ, რომელიც მზადაა, ნებისმიერ დროს გიმტროთ.

# ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | 7 | | 2 | 1 | |
| 9 | 3 | | | 8 | | | | 5 |
| | | | 9 | 2 | | | 8 | |
| | 5 | 3 | | | | | | |
| | 6 | | | | | | 3 | |
| | | | | | | 5 | 4 | |
| | 4 | | | 6 | 8 | | | |
| 3 | | | | 5 | | | 7 | 8 |
| | 1 | 8 | | 4 | 7 | | | |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | | | | | | | |
| | | | 6 | 9 | | 2 | | 5 |
| | | 6 | | 5 | | | | 3 |
| 8 | | 4 | 2 | | | | | 1 |
| | | | 1 | | 7 | | | |
| 5 | | | | | 3 | 4 | | 7 |
| 4 | | | | 7 | | 1 | | |
| 6 | | 8 | | 1 | 9 | | | |
| | | | | | | | 6 | 8 |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | 2 | | | 7 | |
| | 1 | 9 | | | | 5 | | |
| | | | | | 3 | 2 | | |
| | 6 | | | 1 | 2 | | | |
| | | 7 | | | | 4 | | |
| | | | 3 | 8 | | | 6 | |
| | | 3 | 9 | | | | | |
| | | 1 | | | | 7 | 8 | |
| | 8 | | | 6 | | | | 4 |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | 9 | 6 | | | | 1 |
| 5 | | | 2 | | 4 | | | |
| | 2 | | | | | 8 | | |
| | 1 | | 4 | | | | | |
| | 8 | | 3 | | 7 | | 4 | |
| | | | | | 6 | | 7 | |
| | | 3 | | | | | 5 | |
| | | | 1 | | 3 | | | 4 |
| 9 | | | | 7 | 2 | | | 3 |

## მეგობრების რაოდენობა თავის ტვინზე მოქმედებს

ბევრ ადამიანთან ურთიერთობა თავის ტვინის იმ ზომას ადიდებს, რომელიც სოციალურ ქცევაზეა პასუხისმგებელი, — დაადგინეს ბრიტანელმა მეცნიერებმა ოქსფორდის უნივერსიტეტიდან, რომელთაც წინასწარი კვლევა ჩაატარეს 27-დან 70 წლამდე ასაკის 18 მოხალისეზე. მკვლევარები შეეცადნენ, სოციალური კონტაქტის ნებისმიერი ფორმა გაეთვალისწინებინათ: პირადი, სატელეფონო თუ ელექტრონული, ასევე მოხალისეების ტვინის სკანირებაც ჩაატარეს და გაარკვიეს, მათ, ვისაც ბევრ ადამიანთან ჰქონდა კონტაქტი, ტვინი უფრო განვითარებული ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვინც შედარებით ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. თუმცა, სწავლულები არც იმას გამორიცხავენ, რომ სწორედ ტვინის ზომა განსაზღვრავს ადამიანის კონტაქტურობას.

## ემოციების მოთოკვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ამას ბრიტანელი მკვლევარები ამტკიცებენ, რომელთა ექსპერიმენტში მონაწილეობა 6 ათასმა მოხალისემ მიიღო. სწავლულებმა გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა განათლება, მუდმივი სამუშაო და ფსიქოლოგთან სიარული. მონაცემების შეკრებისა და მათი გაანალიზების შემდეგ სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ, ვინც ემოციებს არ ამჟღავნებს, უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე მათი ემოციური თანატოლები, თუმცა გერმანელ სწავლულებს სხვა მოსაზრება აქვთ — მათი აზრით, ემოციების ჩახშობა გულის კუნთის კუმშვის სიხშირეს ამცირებს. თუ ფეთქებად ადამიანებთან ეს მოვლენა ემოციის გამოვლინების დასრულებისთანავე გაივლის, თავშეკავებულებში პულსი აჩქარებული რჩება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, რამაც შედეგად, შეიძლება, ჰიპერტენზია, გულის იშემია და თირკმლის დაავადებაც გამოიწვიოს.

## უპატრონო ცხოველებს წიგნებს უკითხავენ

აშშ-ში, თავშესაფრებში მცხოვრებ ძაღლებსა და კატებს მოხალისეები კლასიკური ლიტერატურის შედევრებს უკითხავენ, თუმცა საქმე მხოლოდ კლასიკით არ შემოიფარგლება, — ამბობს ვაშინგტონში არსებული ცხოველების გადარჩენის ლიგის ერთ-ერთი სპეციალისტი, — ისინი თანამედროვე ლიტერატურასაც უსმენენ. მათი დაკვირვებით, სწორედ ლიტერატურული საათები ეხმარება მიუსაფარ ცხოველებს, ადვილად შეეჩვიონ ადამიანებს და დადებითი ემოციები მიიღონ. ზოგიერთი ცხოველი თავშესაფარში საკმაოდ დიდი ხანია ცხოვრობს და თავს მარტოდ გრძნობს, — ამბობს სპეციალისტი, — კითხვა კი მათ სტრესის დაძლევაში ეხმარება. წიგნები თავად ვოლონტიორებს მიაქვთ, ცხოველების ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მშვიდი ხმის მოსმენა, — აცხადებენ ლიგის წარმომადგენლები.

## რომელი პროფესია ვნებს ქალს

მასშტაბური კვლევების შედეგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მდივნის, ბორტგამცილებლის, მასწავლებლისა და გამყიდველის პროფესიები საფრთხეს უქმნის ქალის ჯანმრთელობას — მშვენიერი სქესის იმ წარმომადგენლებს, ვინც მდივნად მუშაობს, შესაძლოა, ხელის მტევანზე ნერვული დაბოლოებების პრობლემები შეექმნათ, რაც დიდი ალბათობით, ზურგისა და სახსრების ტკივილში გადადის და უფრო სერიოზული პრობლემების მიზეზი ხდება. პედაგოგებს ქრონიკული პრობლემები აქვთ ხმის ტემბრთან დაკავშირებით, რის შედეგადაც, ანგინა ან ტონზილიტი ვითარდება. ამ პროფესიის წარმომადგენელი ქალები ადვილად ავადდებიან ვირუსული ინფექციებით, რადგან გამომშრალი ყელი მიკრობებს იზიდავს. სტიუარდესები მუშაობისას უამრავ ნეგატიურ ფაქტორს აწყდებიან, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე, გარდა ამისა, დროის სარტყლის გამუდმებული ცვლა მათ ბიორიტმს არღვევს.

## შოკოლადი კეთილი საქმის სანაცვლოდ

სპეციალურ მაღაზიებში, სადაც პოპულარული ბრენდის Anthon Berg-ის უმაღლესი ხარისხის შოკოლადი იყიდება, თურმე, ფული სულაც არ ყოფილა საჭირო. საყვარელი ტკბილეულის მისაღებად კეთილი საქმე უნდა ჩაიდინოთ. დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში არსებულ მაღაზიას Generous Store (გულუხვი მაღაზია) ჰქვია, რომლის გახსნამდეც კართან უკვე უზარმაზარი რიგი იდგა, კლიენტებს კი თაროებზე შემოწყობილ შოკოლადის ყუთებზე, ფასის ნაცვლად, ასეთი უჩვეულო ეტიკეტები დახვდათ: „ერთი კვირა დედას ცუდად არ დაველაპარაკები“, „მეორე ნახევარს საწოლში მივუტან საუზმეს“, „ერთი თვე არ ვიჭორავებ მეგობარზე მის ზურგსუკან“... კლიენტთა უმრავლესობა მზად იყო, „მეგობარს სახლის დალაგებაში დახმარებოდა“, მაგრამ არავინ გაკარებია შოკოლადს, რომელსაც ეწერა „ერთი კვირა მამას არ მოვატყუებ“. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა კლიენტმა შეასრულა საკუთარი ვალდებულება და ამის დასამტკიცებლად მაღაზიის საიტს ფოტოებიც გაუგზავნეს.

1.რასპეს ლიტერატუ-ტრული პერსონაჟი, ცრუპენტელა ბარონი
2. დეკ-ლამაციური ხასიათის მელ. ოპერაში
3. ხაჭა-პურის სახეობა
4. ქლიავის ჯიში
5. გას-ეირნება ბავშვის ენაზე
6. ევრო-კავშირის ვალუტა
7. მის-წრაფება გრძნობების დაკმაყოფი-ლებისადმი, ნებიერი ცხოვრები-სადმი
8. ძალა-უფლების უკანონო მითვისება
9.თხზულე-ბის წინ წამძღვარებ. ციტატა
10. პარიზის სიმბოლო-კომკი
11. ქალაქის ელექტრუ-ლი რკინიგზა
12. ჩანთა ნანადირე-ვისათვის
13. დიდი შვეიცარი-ელი მათემა-ტიკოსი
14. ინდური კობრა
15. ხელით სატარებელი პატარა ორთვალა
16. ხე-ლოვნების დარგი
17. იეზუიტ-თა ორდენის დამაარსე-ბელი
18.ირანის ფულის ერთეული
19. ბიბლიური პატრიარქი
20.კალ-მის ერთი მოსმით ხელმოწერა
21. იგივეა, რაც იალქანი
22. არისტოკ-რატთა სპორტი
23. აბესალომის სატრფო
24. უნგრეთის ადმინისტრ. ერთეული
25. ჭკუა-სუსტობის უმაღლესი ხარისხი
26. ჯოხი ძველ ქარ-თულში
27. ფუჭი, უშედეგო
28.„წყლის შიშად“ ცნობილი დააავადება
29. ბანქოს ფიგურა
30. თურქული ტელესე-რიალი „ქალბა-ტონი ...“
31.უმცრო-სის საარ-ისპირო სიტყვა
32. ფრანგი ფერმწერი
33.სურა-თზე გამო-სახული ქალაქი
34.ფილოს. მოძღვრება მორალის შესახებ
35.დიდი ცხოველის კიდური
36.„ღვთა-ებრივი კომედიის“ ავტორი
37. დიდი სამა-მულო ომის გმირი ... კოსმო-დემიანსკაია
38. ამერ. ფილმი „... ბროკოვიჩი“
39. ცის ღმერთი ეგვიპტურ რელ.იგიაში
40.მიმართ-ვა ესპანელი მამაკაცი-სადმი
41. ერთ-ერთი ქრის-ტიანული საიდუმლ.
42. კაკლის შიგთავსი
43. თაგვრუს-ხვევა
44. ზევსის დედა
45. ეტლში შებმული ადამიანი
46. შხამი-ანი გველი
47.თმის მცენა-რეული საღებავი
48. ძვირ-ფასი ქვა
49.ჩვენი მნათობი
50. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში
51.ახალ ზე-ლანდიური მგალობელი ფრინველი
52. ამაზონის დელფინი
53. ამერიკელთა მეტსახელი
54. ფრანგული ყურძნის ჯიში
55. პოეტური გა-მოცანა
56.ფილატელისტის საკოლექციო ობიექტი
57. ინდიელთა ტომი
58. ბურთულის ფორ-მის წამალი, იგივეა, რაც ტაბლეტი
59. დიდი წერილი-საჩივარი
60. ღამის ფრინველი
61.სათამა-შო კოჭის მთავარი მხარე

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობა-ში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

**Appraisal.llc**

**შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,**

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა:** a.purtseladze@gmail.com

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.